# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


სამშაბათი, 17 მაისი. 2016 წ. №89 (7981), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


# აშკარაა, რომ კანონპროექტის ამ სახით მიღება უნაყოფოა!



**საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს**

**პატივცემულო ბატონო გიორგი,**

თქვენი ყურადღება გვინდა, მივაპყროთ ჩვენი საზოგადოებრიობისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მომავალს უკავშირდება. საუბარი ეხება საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარდგენილ საქართველოს კანონის პროექტს „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის ინიციატორია პარლამენტის წევრი და განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი ი. კიღურაძე. კანონპროექტი მომზადდა აკადემიის წევრებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გვერდის ავლით, მათი მოსაზრებების სრული უგულებელყოფით. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებების ძირითადი ნაწილი ან მოქმედ კანონს ეწინააღმდეგება, ან არღვევს პიროვნების ფუნდამენტურ უფლებებს და აუარესებს აკადემიის ნორმალური ფუნქციონირების პირობებსა და განვითარების პერსპექტივას.

კანონპროექტით გათვალისწინებულია აკადემიის მიერ ხუთწლიანი სტიპენდიების დაწესება და წევრ-კორესპონდენტთა ეტაპობრივი ჩანაცვლება სტიპენდიატებით. ასეთი ჩანაცვლება სრულიად არაფრის მომცემია აკადემიის განვითარების თვალსაზრისით. ამ საკითხთან დაკავშირებით აკადემიამ თავისი მოსაზრება გამოხატა აკადემიის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების პროექტში, რომელიც ორი წლის წინ წარადგინა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში შემდგომი მსვლელობისათვის. ის ითვალისწინებს წევრ-კორესპონდენტის ინსტიტუტის აღდგენას და, ამავე დროს, ცალკე სტიპენდიატის ინსტიტუტის შემოღებას 35 წლამდე ასაკის მკვლევართათვის. ჩვენი აზრით, წევრ-კორესპონდენტების ჩანაცვლება მოკლევადიანი სტიპენდიატებით ვერ შეაჩერებს პროცესს, რომელსაც აკადემია მილევად ვითარებამდე მიჰყავს (თუ აკადემია მოქმედი კანონის მიღებამდე 110 წევრისაგან შედგებოდა, წევრ-კორესპონდენტის ინსტიტუტის აღდგენის გარეშე 70-მდე შემცირდება).

კანონპროექტის მიხედვით, აკადემიის პრეზიდენტად და ვიცე-პრეზიდენტად არ შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომლის ასაკი აღემატება 70 წელს, რაც, ასევე მიუღებელია. ჯერ ერთი, საერთაშორისო პრაქტიკა არ იცნობს ანალოგიური დაწესებულებების არჩევით თანამდებობებზე (მათ შორის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის) კანდიდატების ასაკობრივ ზღვარს. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აკადემიის წევრობის მაღალი სტანდარტი ბუნებრივად განაპირობებს აკადემიკოსთა კორპუსის შედარებით მაღალ საშუალო ასაკს. აკადემიის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი კი აირჩევა მხოლოდ აკადემიკოსთა რიგებიდან, ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ამ თანამდებობებზე ასარჩევ პირთა წრეც შეზღუდულია. აკად. ი. კიღურაძის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი კიდევ უფრო, ამჯერად, უკვე ხელოვნურად, ავიწროებს აღნიშნულ წრეს. თუ ამ კანონპროექტით ვიხელმძღვანელებთ, თუნდაც მოცემულ მომენტში, 63 წევრიდან არჩევანი უნდა გაკეთდეს 9 წევრს შორის, დანარჩენი 54 აკადემიკოსი რჩება პასიურ ამომრჩევლად, რაც მიუღებელი ასაკობრივი დისკრიმინაციაა.

კანონპროექტის მიხედვით აკადემიას შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ერთი ვიცე-პრეზიდენტი, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება აკადემიის შესახებ მოქმედი კანონის ერთ-ერთ მუხლს (თავი II, მუხლი მე-3, პუნქტი მე-3), რომლის თანახმად „აკადემია თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელიც განსაზღვრავს თავის სტრუქტურას, წყვეტს აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაციო, საკადრო, ეკონომიკურ და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს“. მოქმედი კანონით აკადემიისთვის მინიჭებულ ამ უფლებას მნიშვნელოვნად ზღუდავს კანონპროექტის აღნიშნული მუხლი, რაც ნიშნავს იმას, რომ ცვლილების პროექტი არ არის სათანადოდ გააზრებული და უსათუოდ საჭიროებს შემდგომ გადამუშავებას.

აშკარაა, რომ კანონპროექტის ამ სახით მიღება უნაყოფოა! ამიტომ მიზანშეწონილია აკადემიის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ფართო საზოგადოების მონაწილეობით შეიქმნას ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს აკადემიის კანონში ცვლილებების პროექტს.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ დღეს არ არის იმის გადაუდებელი აუცილებლობა, აღნიშნული კანონპროექტი ასე სახელდახელოდ გატანილ იქნეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

ამის სრულ საფუძველს გვაძლევს აკადემიის საერთო კრების გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა მისი წევრების აბსოლუტური უმრავლესობის მიერ და დასახელებული კანონპროექტით გათვალისწინებულ ცვლილებებს მიიჩნევს დაუსაბუთებლად.

პატივისცემით

**აკადემიკოსი გუჩა კვარაცხელია;**
**აკადემიკოსი თინათინ სადუნიშვილი;**
**აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე;**
**აკადემიკოსი გივი ცინცაძე;**
**აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე;**
**აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მარლენ გორდეზიანი;**
**აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურამ ლორთქიფანიძე;**
**აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კიაზო ფიცხელაური;**
**აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რამაზ ხუროძე.**

# კომპანია მაგთიკომის განცხადება

**გვსურს**, გამოვეხმაუროთ გაზეთ „ბანკები და ფინანსების“ მიერ მიზანმიმართულად გავრცელებულ, შეცდომაში შემყვან სტატიას, რომელიც აიტაცა და ფართოდ გაავრცელა პალიტრა მედიამ.

მოგეხსენებათ, რომ მაგთიკომმა 2016 წლის აპრილის ბოლოს თავის მობილურ ბრენდებზე სატარიფო გეგმების ოპტიმიზაცია მოახდინა.

საგულისხმოა, რომ „ბანკები და ფინანსები“ აპელირებს მხოლოდ სტანდარტული ტარიფის ზრდაზე და შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი, როდესაც აცხადებს, რომ მაგთიკომის ყველა მომხმარებელი ამიერიდან 24-თეთრიანი ტარიფით სარგებლობს. ეს ასე არ არის. 24-თეთრიანი ტარიფი კომუნიკაციების კომისიის მიერ დაწესებული ზედა ზღვრული ტარიფია. სტანდარტული ტარიფის გარდა, ჩვენს მომხმარებლებს აქვს არჩევანი, მათ შორის 0-თეთრიანი საუბრის შესაძლებლობა ტარიფი „ზერო+“-ის ფარგლებში.

სტანდარტული ტარიფით მაგთიკომის მომხმარებლების უდიდესი ნაწილი არ სარგებლობს და, შესაბამისად, ეს მათ არც შეხებია. მომხმარებლების დიდი უმრავლესობა ძველებურად აგრძელებს არჩეული, ალტერნატიული ტარიფებით სარგებლობას.

რაც შეეხება ზარის წამოწყების ღირებულების შეცვლას 10 თეთრამდე, ეს სხვა მობილურმა ოპერატორებმა დეკემბერ-იანვარში განახორციელეს, გაცილებით ადრე, ვიდრე მაგთიკომმა.

**P. S. მაგთიკომის წინააღმდეგ გაზეთის მხრიდან ინიცირებული კამპანია სხვა არაფერია, თუ არა ზეწოლა, მაგთიკომის დისკრედიტაცია და მომხმარებლების შეცდომაში შეყვანა, რასაც რეალურად საფუძვლად უდევს მაგთიკომის მხრიდან აღნიშნულ გაზეთში რეკლამის განთავსებაზე უარი.**

**რაც შეეხება პალიტრა მედიას, მას მერე, რაც მაგთიკომმა უარი განუცხადა პალიტრა ტვ-ის მისი სიგნალის თანამგზავრამდე უფასოდ ატვირთვაზე, პალიტრამ მაგთიკომის დისკრედიტაცია მთავარ მიზნად გაიხადა.**

**გეოსტაციონარულ ორბიტაზე მყოფი მაგთიკომის თანამგზავრი დედამიწას 36 ათასი (დიახ, 36 000) კილომეტრითაა დაშორებული. მისი განთავსება, შენახვა და მომსახურება სერიოზულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. გაუგებარია, რატომ უნდა თქვას უარი მაგთიკომმა სიგნალის ატვირთვის საფასურის მიღებაზე მაშინ, როდესაც თითქმის იმავე თანხას მოითხოვს პალიტრა მედია თავის ინტერნეტ გვერდებზე სარეკლამო ბანერის განთავსებაში, ხოლო გაზეთში განთავსებულ რეკლამის ფასს კვადრატული სანტიმეტრობით ითვლის.**

# დამწვარი კაბელები

## ალასანია საკუთარ თავს გადაახტა



**გუშინ დიდი ღრიანცელი იყო თბილისში. თავისუფალმა დემოკრატებმა ციდან ჭექაქუხილი ჩამოიღეს და თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში დედამიწა დაადუღეს.**

სასამართლომ დამნაშავედ ცნო ე. წ. კაბელების საქმეზე ბრალდებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხუთივე თანამშრომელი: ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, არჩილ ალავიძე, გიორგი ლობჟანიძე და გიზო ღლონტი, რომლებიც 2014 წლის ოქტომბერში დააკავეს სახელმწიფო შესყიდვებისას 4 მილიონ ლარზე მეტი საბიუჯეტო თანხის გაფლანგვის ბრალდებით, „საქმეში წარმოდგენილი და სასამართლო სხდომებზე გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლიობით, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია წინასწარ შეთანხმებითა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხის გაფლანგვის ფაქტი“ და ბრალდებულების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა — ხუთივეს 7-7 წლით პატიმრობა შეუფარდა.

შეფარდებით კი შეუფარდა, მაგრამ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს ბესიკ ბუგიანიშვილს განაჩენის გამოცხადება ვინ აცალა. მხოლოდ პირველი ბრალდებულის გიზო ღლონტისთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოცხადება მოასწრო და სასამართლო დარბაზი საგიჟეთს დაემსგავსა. როგორც ირაკლი ალასანიამ წინა დღეებში დააანონსა, სასამართლო დარბაზში, ბრალდებულთა ახლობლებისა და მხარდამჭერების პროტესტი, ხმამაღალი შეძახილები და შეურაცხმყოფელი რეპლიკების ალი ავარდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ დარბაზი სწორედ ამ კატეგორიის ხალხით იყო სავსე, ადვილი წარმოსადგენია, რა ღრიანცელი, წივილ-კივილი და დედის გინება ისმოდა. ვითარება იმდენად უმართავი გახდა, რომ მოსამართლემ სხდომა დახურა და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება დახურულ კარს მიღმა დაასრულა.

ირაკლი ალასანია, როგორც იტყვიან, საკუთარ თავს გადაახტა და პირი მაქსიმალურად დაალო, როგორც ანკესით ამოყვანილმა ლოქომ. დაალო და ისეთები ამოუშვა, მასაც კი რომ არ ეკადრებოდა. ბიძინა ივანიშვილს სულ ხელები და ფეხები უქნია, ამას არ გაპატიებო, ამ ამბავს გადაგაყოლებ, შე საქართველოს მტეროო. მოკლედ, ამ და უარეს სტილში. ბოლოს სულ თავზარდამცემი — სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილება შენს ხელისუფლებას ბოლოს მოუღებსო!

„ჩვენ ვიცით, რომ ივანიშვილ-კვირიკაშვილის მთავრობაში სასამართლოს და პროკურატურის კონტროლი მიმდინარეობს, მაგრამ ასეთ გადაწყვეტილებას თუ აიძულებდნენ მოსამართლეს, არ ველოდი“, — განუცხადა ჟურნალისტებს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ.

ვითომ რატომ არ ელოდი, ღრმად გამოცდილო პოლიტიკოსო და აღმატებულო საზოგადო მოღვაწევ? რატომ ხტიხარ წინ-წინ მორბენალი კვიცივით და განაჩენს გადაჭრით უსამართლოს უწოდებ ყველაფრის მცოდნე ვაცივით? არადა, ამჟამინდელი განაჩენის გასაჩივრებას აკი ისევ სასამართლოში აპირებ, ამჯერად სააპელაციოში? ისევ დარწმუნებული ხარ, რომ სააპელაციო მაინცდამაინც შენ ჭკუაზე გაივლის?

— მე ვპირდები ივანიშვილს, რომ ეს იქნება ის გადაწყვეტილება, რაც მის ხელისუფლებას ბოლოს მოუღებს. ამას საზოგადოების და პარტიის საქმედ ვაქცევ-, — დაიმუქრა ალასანია და მისი ჭკუით საქართველოს ცაზე მძიმე ღრუბელი ჩამოწვა. მოდი და ნუ შეშინდები.

**სანდრო ალექსიძე**

## „კაბელების საქმის“ პროკურორი: სასამართლო ადეკვატურად მოიქცა

**„კაბელების საქმის“ პროკურორი ნინო ალლემაშვილი მოსამართლე ბუგიანიშვილის გადაწყვეტილებას ობიექტურად აფასებს და აცხადებს, რომ დაცვის მხარის არგუმენტები საქმესთან შემხებლობაში არ იყო, რასაც ობიექტური მოსამართლე ვერ გაიზიარებდა.**

**დაცვის მხარის არგუმენტები, მტკიცებულებები, ძირითადად იყო აბსურდული, რასაც ობიექტური მოსამართლე ვერ გაიზიარებდა. მოსამართლის გადაწყვეტილებასთან მიმართებით, ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ გადაწყვეტილება არის დადასტურება იმისა, რომ მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო ქვეყანაში ადეკვატურად პასუხობს საჯარო მოხელეების მიერ საბიუჯეტო თანხების გაფლანგვას, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს სახელმწიფოს ინტერესებს. ამ საქმეში ძირითადი მტკიცებულებები იყო დოკუმენტალური მტკიცებულებები, რომელსაც, როგორც წესი, აქვს უტყუარობის უმაღლესი ხარისხი, მოცემულ საქმეში სწორედ მოსამართლის გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი გახდა ის მტკიცებულებები, რომლებიც ასახავდა სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების პროცესს. ამ დოკუმენტებთან მიმართებით იყო ჩატარებული არაერთი ექსპერტიზა, ჩვენ ძალიან კვალიფიციური ექსპერტები წარვადგინეთ სასამართლოში, რომლებმაც მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთეს იმ დოკუმენტებთან დაკავშირებით, რაც იყო ამოღებული“, — განაცხადა საქმის პროკურორმა.**



## კახიკო კუკავამ ნათლად მოკუკა პოლიტიკაში თავისი და თხლეიბორისტი შალიკოს მორალური ყოფნის უფლება






**ამ ეგრეთ წოდებულმა თავისუფლებამ, დამოუკიდებლობამ და დემოკრატიამ, მართალია, ეკონომიკურად დედა გვიტირა, ეს ბოლო 25 წელიწადი სულ წელებზე ფეხდადგმული გვაასკინკილა და ლოყებიც კარგა გვარიანად ჩაგვიცვივნა, მაგრამ, სამაგიეროდ, ერთი მთლიანი, ოცდახუთწლიანი ტრაგიკომიკური სპექტაკლის უშუალო მონაწილენი გაგვხადა, ანუ ცარიელ კუჭზე უკეთეს გართობას, ალბათ, ვერც ვინატრებდით.**

არა, ისე როგორია, ოცდახუთი წელიწადი ხან ტრაგედიის პერსონაჟი იყო, ხანაც კომედიისა! არადა, მთელი ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე არც ერთი გვაკლდა, არც მეორე.

პირდაპირ და თამამად უნდა ითქვას, რომ, თუ არა ეს პოლიტიკური გართობა, ვაითუ დღემდე ვერც მოგვეღწია. ადრე თუ ჩვენი წუთისოფელი ხუთწლედ-ხუთწლედად იყო დაყოფილი, ამჯერად ჰაიჰარად გასავარძლიანებულთა ახალი ვაირეფორმატორული მიდგომის შედეგად არჩევნებიდან არჩევნებამდე გვიწევს ერთი და იმავე ადგილის ტკეპნა და ერთადერთი მოსავალი თუ ჭირნახული, რასაც ამაო დაპირებების დაბლაგვებულ ნამგალცელით ვიმკით, სულ ახალი და ახალი პარტიებია, რომლებიც, ფაქტობრივად, ისედაც უკვე სისხლგამშრალი ხალხის მცირედღა დარჩენილი სისხლის მწოველ წურბელებად იქცნენ.

და აი 2016 წლის არჩევნების წინ მთელი ქვეყნის გასაგონად გაისმა პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ქოჩორა ვაცბოტის კახუნა კუკავას ქარიშხლად ამოვარდნილი ხმა... რაც, როგორც ჩანს, მხოლოდ ასე უნდა გავიგოთ: 25 წლის მანძილზე გაბითურებულნო ქართველნო, ნუთუ ვერ მიხვდით, რომ ჯერ იყო და გაგაცურათ „მრგვალმა მაგიდამ“, მერე მოგაღორათ „მოქალაქეთა კავშირმა“, მერე გაგაფუნიანათ ყაჩაღურად კარგა გაფულიანებულმა „ნაციონალურმა პარტიამ“, 2012 წლიდან კი ოცნების უნარი წაგართვათ უკვე „ოცნებამ“... ასე რომ, დღესდღეობით ქართულ პოლიტიკაში ყოფნის მორალური უფლება მხოლოდ მე და შალვა ნათელაშვილს გვაქვსო!..

ერთი სიტყვით, საქართველოს საბოლოო მშველელად იშვა კუკავა-ნათელაშვილის ახალი ბლოკი, ანუ 2016 წლის 8 ოქტომბერს ყველამ უკლებლივ, ანუ დღემდე ყველა გაბითურებულმა ამომრჩეველმა, ჩვენი ხმა, თუ ოქტობრამდე სულ არ ჩაგვიწყდა, ეგრევე, უყოყმანოდ, უნდა მივცეთ ჩვენი დროის ამ ორ ნამდვილად სწორუპოვარ პოლიტიკურ ტაკიმასხარას.

გართობა, აბა თქვენ მერე ნახეთ!..

დანარჩენ სიკეთეებზე მე კი არა, პასუხს, ძალიან ღრმად ვარ დარწმუნებული, თვითონაც არ აგებენ (სხვას უგია რო?!).

ისე, 4 წელიწადი მუქთა ცხოვრება ხალხის კისერზე, როგორია?!.

**გურამ წიკლაური**

## პაატა ბურჭულაძემ მერაბ მეტრეველი აირჩია



**პაატა ბურჭულაძის მოძრაობას — „სახელმწიფო ხალხისთვის“ , ჟურნალისტი მერაბ მეტრეველი უერთდება. მეტრეველი საზოგადოებას მოძრაობის დამფუძნებელმა პირადად წარუდგინა. „ჩვენ განვაგრძობთ საზოგადოების აზრის შეცვლას, რომ პოლიტიკა არის მხოლოდ ბინძური ხალხის საქმე და გვინდა, წარმოგიდგინოთ ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ადამიანი, ხალხის, საქართველოს და საერთოდ ყველასთვის. მინდა, წარმოგიდგინოთ მერაბ მეტრეველი, — განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.**

მერაბ მეტრეველმა პაატა ბურჭულაძეს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მისთვის ამ გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ ყოფილა. მეტრეველი ფიქრობს, რომ პოლიტიკაში მეტი გულწრფელი ადამიანი უნდა იყოს...

„ბუნებრივია, ვიცვლი პროფესიას, რასაც ამდენი წელი ვემსახურებოდი და ვაკეთებდი ჟურნალისტიკაში, თავს ვანებებ და მივდივარ ახალ პროფესიაში. ეს საქართველოშიც არ არის მარტივი გადაწყვეტილება. საქართველო, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მარტო იმიტომ შეუძლიათ ლანძღონ, რატომ წახვედი პოლიტიკაშიო. მეორეს მხრივ, კი ითხოვენ ახალ ხალხს პოლიტიკაში. მე ვფიქრობ, რომ ისეთი ხალხის ადგილი არის პოლიტიკაში, რომელსაც გული ერჩის და ფიქრობს, რომ შეუძლია რაიმე გააკეთოს“, — დასძინა ჟურნალისტმა.

## 20 წლის წინათ ჰეიდარ ალიევმა და ედუარდ შევარდნაძემ სტრატეგიული გადაწყვეტილება მიიღეს

**თბილისში აღმოსავლეთ-დასავლეთ (ბაქო-სუფსა) ენერგეტიკული დერეფნის 20 წლის იუბილე აღინიშნება.**

„20 წლის წინათ მიღებულ იქნა სტრატეგიული გადაწყვეტილება მაშინდელი პრეზიდენტების, ჰეიდარ ალიევისა და ედუარდ შევარდნაძის მხრიდან. კომპანია bp-ისა და საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობით შედგა პროექტი, რომელმაც სამხრეთ კავკასიის ენერგეტიკულ დერეფანს ჩაუყარა საფუძველი, რაც იყო უმნიშვნელოვანესი უსაფრთხოების, განვითარების კუთხით. დღეს მნიშვნელოვანი იუბილეა და მხიარული ვართ, რომ სტუმრად გვყავს აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრი“,- განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას.

იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოში იმყოფებიან აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი არტურ რასიზადე და აზერბაიჯანის მთავრობის წევრები.

## დროის მოგების მიზნით პრეზიდენტმა კანონს ვეტო არ უნდა დაადოს

**საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტი არასამთავრობო ორგანიზაციებს ხვდება. მესამე სექტორი კანონს მხარს არ უჭერს, თუმცა პრეზიდენტს ვეტოს დადებისაგან თავის შეკავებას ურჩევს. კონსტიტუციონალისტი ვახუშტი მენაბდე ფიქრობს, რომ პრეზიდენტმა კანონპროექტს დროის მოგების მიზნით ხელი უნდა მოაწეროს და უკვე ამის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივროს.**

„საკონსტიტუციო სასამართლოს მიღებულ და ასევე მისაღებ გადაწყვეტილებებს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი უკავშირდება, ეს იკითხება კანონის შინაარსიდან, რომელიც ეხება ხმების განაწილებას, პლენუმს, ნორმის შეჩერებას და ასე შემდეგ. ეს ცვლილებები არის შურისძიება საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან სასამართლო ხელისუფლებაზე. საბოლოო გადაწყვეტილება პრეზიდენტის მისაღებია, თუმცა ვფიქრობ, რომ სჯობს, ცვლილებებს ხელი მოეწეროს და შემდგომ დაუყოვნებლივ გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში, რადგანაც ცოტა დროა იმისთვის,რომ სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება“, — განუცხადა ჟურნალისტებს ვახუშტი მენაბდემ.




# პრემიერ-მინისტრი სერიოზული რევანშისთვის ემზადება

**„ქართულ ოცნებას“ ახასიათებს ყველა მორიგი მატჩის ფრედ დამთავრება. ისინი არც არაფერს აფუჭებენ, მაგრამ ვერც ვერაფერს აკეთებენ. გუშინდელი ფაქტიც მათი ბუნების კიდევ ერთი გამოვლინება იყო“, — განაცხადა „ყოვლისმცოდნე“ ექსპერტმა გია ხუხაშვილმა პარტიის IV ყრილობის კომენტირებისას.**

ნაწილობრივ, ამ თეზას შეიძლება დაეთანხმო, თუკი „ქართული ოცნების“ ახალი სახეების შესახებაც ექსპერტის აზრს გავიზიარებთ, რომ თითქოს პოლიტიკურად გამოუცდელი ადამიანების შესვლა და მათი პოლიტსაბჭოში ყოფნა პარტიაში დაძაბულობას გაზრდის. თუმცა, ასეთი სკეპტიციზმი ერთობ ნაადრევია: ჩვენ უკვე გამოვიარეთ გამოცდილი პოლიტიკოსების ხელისუფლებაში მოსვლის სიმწარე და დავასკვენით, რომ აქტიური ოპოზიციონერებისთვის სამთავრობო სკამები „შეუფერებელია“, იმედებს ვერ ამართლებენ! პოლიტსაბჭოს ახალი წევრები გახდნენ: დავით ბაქრაძე, დავით კოღუაშვილი, მამუკა მდინარაძე, ირინე ფრუიძე, რომან კაკულია, სოფიო კილაძე, აკაკი ზოიძე და ზვიად გონაძე.

ისინი არიან საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტები და პროფესიონალი კადრები, რომელნიც, როგორც ამბობენ, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თავად შეარჩია, ვინაიდან ყველასთან პირადი, ახლო ურთიერთობა აკავშირებდა. მათგან ერთ-ერთს — აკაკი ზოიძეს უკვე წაკბინა „რუსთავი-2“-მა და შევარდნაძის ხელისუფლების მაღალჩინოსანი უწოდა (თითქოს ნაციონალები და მათი ლიდერები იმავე მთავრობის მაღალჩინოსნები არ ყოფილიყვნენ). წარსულისა რა მოგახსენოთ, მაგრამ დღეს აკაკი ზოიძე მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წამყვანი ექსპერტია.

„ოცნების“ წინააღმდეგ აგორებული სკანდალების შემდეგ ყველა ელოდა, რომ პოლიტსაბჭოს ძველ შემადგენლობაში სულ მცირე, ეკა ბესელია და მანანა კობახიძე არ მოხვდებოდნენ, მაგრამ, რატომღაც მოვლენები სულაც არ განვითარდა ისე და ისეთნაირად, როგორც ვარაუდობდნენ.

* * *

შაბათს ჩატარებული ყრილობა, შეიძლება ითქვას, რომ ირაკლი ღარიბაშვილის ბენეფისი უფრო იყო, ვიდრე პარტიისა. დელეგატებისგან არც ერთ პოლიტიკოსს არ რგებია ისეთი მხურვალე ტაში, როგორც ყოფილი პრემიერ-მინისტრის გამოჩენას. ოვაციების გარეშე არ დარჩენილან არც მისი წინამორბედი „ოცნების“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი და არც მოქმედი პრემიერი, თუმცა, ხალხის სიყვარულის განსაკუთრებული გამოხატულება ღარიბაშვილის მიმართ მართლაც თვალშისაცემი იყო.

ყოფილი პრემიერის ყრილობაზე გამოჩენამ გაამყარა ჭორები იმის შესახებ, რომ ის საარჩევნო სიაში იქნებოდა და მეტიც, სიის ფორმირების პროცესშიც მიიღებდა მონაწილეობას, მაგრამ ეს ფაქტი კატეგორიულად უარყო. ახალი პარტიის შექმნაც გამორიცხა, ოღონდ... ჯერჯერობით! მასთან დაახლოებული პირებიც ადასტურებენ, რომ ღარიბაშვილი „ქართული ოცნების“ სახელით რაიმე პოლიტიკურ აქტივობას არ გეგმავს, მაგრამ სიახლისათვის კი ემზადება. კონკრეტულად რა სიახლისთვის — სიურპრიზად რჩება (ისევ ვარაუდებს თუ დავეყრდნობით, პრეზიდენტობისთვის ემზადება).

* * *

რაც შეეხება ვიცე-პრემიერ კახა კალაძეს, ის საზოგადოების წინაშე წარსდგა, როგორც ღირსეული მინისტრი, პოლიტიკოსი, პარტიული მუშაკი... ძნელი იყო, მის გამოსვლაში აღმოგეჩინა ხარვეზი, რაიმე არაოფიციალური. ტექსტი, რომელსაც ის ზეპირად ყვებოდა, იყო დამაჯერებელი და მყარი. მათ შორის, ყველაზე საგულისხმო იყო ფრაზა: **„ჩვენი ლიდერია ხალხი: ჩვენ სწორება გვაქვს საქართველოს კონსტიტუციაზე. ჩვენი უმთავრესი ღირებულებებია თავისუფლება, ერთობა და პროგრესი“.**

ყრილობაზე სულ რაღაც 50 წუთის განმავლობაში ყველა მნიშვნელოვანი გზავნილის გახმიანება მოხერხდა... ოღონდ, ზოგადად. კარგი იქნებოდა, ორგანიზატორებს გამოეყენებინათ ორსაათიანი ინტერვალი რეგისტრაციიდან ყრილობის დაწყებამდე და დარბაზში მყოფი სტუმრებისთვის დიდ ეკრანზე ფაილების სახით ეჩვენებინათ მთავრობის ოთხწლიანი მუშაობის შედეგები, მიღწევები, წარმატებები. მრავალათასიანი დარბაზი პიარის არაჩვეულებრივ შესაძლებლობას იძლეოდა, მაგრამ კვლავ კომუნიკაციის უუნარობამ იჩინა თავი. არადა, პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა არაერთხელ აღნიშნა საჯარო გამოსვლებში: საქმე კეთდება, მაგრამ ხალხმა ამის შესახებ ნაკლებად იცისო. კახა კალაძემ კი გარკვევით თქვა: **„ჩვენ არ ვაძლევთ მოსახლეობას მხოლოდ დაპირებებს. ჩვენ მათ ვაბარებთ გაკეთებული და დაწყებული საქმეების ანგარიშს, რის საფუძველზეც თვითონ ამომრჩეველი მიხვდება და განსაზღვრავს, ვიმსახურებთ თუ არა ნდობას“.** კი ბატონო, მაგრამ, როდის და... როგორ?!

* * *

**„პარტიის დაარსებიდან 4 წლის თავზე, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ბევრი პრობლემა გადავჭერით, ბევრი სირთულე დავძლიეთ, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იმ დაძაბულ ვითარებაში თავიდან ავიცილეთ ანგარიშსწორების საფრთხე, რომლის წინაშეც რეალურად იდგა ჩვენი ქვეყანა. შურისძიება გუშინდელი დღეა!“,** — აღნიშნა ყრილობაზე პარტიის ახალმა თავჯდომარემ გიორგი კვირიკაშვილმა და ეს იყო ძირითადი გზავნილი მათთვის, ვინც დღემდე არ პატიობს „ქართულ ოცნებას“ ნაციონალებთან კოჰაბიტაციას.

> **იყო თუ არა ეს 4 წელი უშეცდომო? — პირდაპირ გეტყვით, რომ — არა. და ეს ბუნებრივიც არის ახალგაზრდა პარტიისთვის... ერთი რამ შეიძლება თამამად ითქვას, ჩვენი ყველა გადაწყვეტილება იყო მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის სიყვარულით ნაკარნახევი და ეს არის უზენაესი, რითაც ვიხელმძღვანელებთ მომავალ გადაწყვეტილებებშიც**

**„იყო თუ არა ეს 4 წელი უშეცდომო? — პირდაპირ გეტყვით, რომ — არა. და ეს ბუნებრივიც არის ახალგაზრდა პარტიისთვის... ერთი რამ შეიძლება თამამად ითქვას, ჩვენი ყველა გადაწყვეტილება იყო მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის სიყვარულით ნაკარნახევი და ეს არის უზენაესი, რითაც ვიხელმძღვანელებთ მომავალ გადაწყვეტილებებშიც“,** — აღნიშნა პრემიერმა.

„ოცნების“ შეცდომებზე იქნება თუ არა აქცენტი გაკეთებული ბიძინა ივანიშვილის ვრცელ წერილში, რომელსაც რამდენიმე დღეში გამოაქვეყნებს, ძნელი სათქმელია. სავარაუდოდ, იქნება კიდეც. რას გეგმავს მილიარდერი და რა ანგარიშს ჩააბარებს საზოგადოებას, ან რისთვის, ესეც საინტერესოა. ფაქტია, რომ „ქართული ოცნების“ ყველა შედეგზე — დადებითსა თუ უარყოფითზე, პასუხისმგებლობის მისეული წილი განუზომლად დიდია...

ეტყობა, ამას თავად ბიძინა ივანიშვილი კარგად აცნობიერებს.

* * *

რაც შეეხება „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიას, როგორც ამბობენ, ის ახალი სახეებით დაკომპლექტდება. ყველა ამ პიროვნებას პროდასავლური ორიენტაცია აქვს. ამით კითხვებიც მოხსნილია პარტიის ორიენტაციასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სიაში პარლამენტარ თამაზ მეჭიაურისა და მისი მსოფლმხედველობის ადამიანებისთვის ადგილი აღარ რჩება! აკი, პრემიერმაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითა, რომ პარტია თვითონვე უნდა დატოვოს მეჭიაურმაო!.. ისიც თანახმაა, მიიღოს ეს გადაწყვეტილება (ივანიშვილთან კონსულტაციის შემდეგ) და შესაძლოა, ახალი პარტიაც შექმნას. მიწვევის მიუხედავად, დეპუტატი ყრილობას არ დასწრებია: **„ყრილობამდე შევხვდი ბატონ ბიძინას და შევათანხმე ეს საკითხი. არ მინდოდა, დისონანსი შემეტანა ყრილობის მუშაობაში, რადგან ვაპირებ პარტიის დატოვებას. ვადასტურებ უდიდეს პატივისცემას ბიძინა ივანიშვილისადმი, თუმცა, ეს არ არის საკმარისი ისეთ პრინციპულ საკითხებზე, როგორიც არის საქართველოს უახლოესი მომავალი, მხოლოდ მეგობრობის გამო დავთმო ჩემი ხედვა“!** — აღნიშნა მეჭიაურმა.

თანდათანობით „ოცნება“ ძველი სისხლისგან იცლება, ვიღაცამ შეიძლება ისიც თქვას, რომ „ბებერი ნიანგები“ მიდიან... ხდება „ქართული ოცნების“ პოლიტიკური სპექტრის განახლება. ექსპერტი ზაალ ანჯაფარიძე ამბობს, რომ **„იმ ადამიანების მიმართ, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ წარმოადგინა, არა მგონია, შეკითხვები და პრეტენზიები ჰქონდეთ. მათ არა აქვთ მძიმე ბიოგრაფია, როგორიც აქვთ ჩვენს პოლიტიკოსებს. ეს ადამიანები პოლიტიკაში სუფთა ხელებით მოდიან. მათ იციან საქმე და სერიოზული განათლება აქვთ“.**

მაშ ასე, გიორგი კვირიკაშვილი სერიოზული რევანშისთვის ემზადება. ალბათ, მალე მინისტრთა კაბინეტსაც შეცვლის, როგორც თვითონ დააანონსა. პარტიაში ირწმუნებიან, რომ ყველა ნოვაცია პრემიერის ინდივიდუალური გადაწყვეტილებაა და ივანიშვილის ჩარევა თითქმის არ ყოფილა...

ამ მოკლე მაგრამ ტევადი ყრილობით, „ქართული ოცნება“ საარჩევნო ფაზაში აქტიურად შევიდა!!!

**თეა მოსია**



**საკონტეინერო გადაზიდვების მსოფლიო ბაზარი წარმოადგენს ერთ - ერთ დინამიურად განვითარებად მიმართულებას. 2000-იანი წლებიდან, მუდმივად გაუმჯობესებადი, ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის (განახლებული საპორტო და სახმელეთო ტერმინალები) და პროცედურების (საბაჟო გაფორმების) შექმნამ, ერთობლიობაში გაამყარა საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნით საკონტეინერო გადაზიდვების ზრდის ტენდენცია. 2015 წლიდან ამ სექტორში საგრძნობია გადამუშავებული საკონტეინერო ტვირთების მოცულობების შემცირება, რის ერთ-ერთ მიზეზად, საქართველოს ნავსადგურებზე დამოკიდებული რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის შენელებაა. თუმცა გატარებული ღონისძიებების ეფექტურობა გარკვეულწილად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მთავარი მოთამაშის, ფოთის ნავსადგურის მფლობელ APM Terminals-ის გრძელვადიან ამოცანებს. ამ ფონზე უფრო მკაფიოდ იკვეთება საქართველოს არსებულ და საპროექტო ნავსადგურებში ახალი სიმძლავრეების შექმნის და ინვესტიციების განთავსების აუცილებლობა.**

# ფოთი - „აბრეშუმის გზის“ კარიბჭე თუ...

## ადგილობრივი მნიშვნელობის ნავსადგური?!

### ფოთის ნავსადგურში საკონტეინერო გადაზიდვების ტენდენციები

2014 წლამდე ფოთის ნავსადგურში მუდმივად შეინიშნებოდა, წლიურად საშუალოდ 15 %-20 %-ით, საკონტეინერო ნაკადის ზრდა. (გამონაკლისს შეადგენდა 2009 წელი, როცა რუსეთთან საომარი მოქმედების შემდგომ დაფიქსირდა 18 %-იანი კლება). ნაკადის ასეთმა ზრდამ, რეგიონში, ნავსადგური საკონტეინერო ტვირთებისთვის მიმზიდველი გახადა, სადღეისოდ, ნავსადგურის მთლიანი ტვირთბრუნვის 30-40%-ს საკონტეინერო ტვირთები შეადგენს. სწორედ ამ ტენდენციების გათვალისწინებით შეიძინა საკონტეინერო ტვირთების გადამუშავებაზე ორიენტირებულმა გლობალურმა კომპანიამ APM terminals-მა ნავსადგური.

სადღეისოდ, ფოთის ნავსადგურის საკონტეინერო ტვირთების გამტარუნარიანობა წელიწადში 600 ათასი TEU. 2015 წელს ნავსადგურში გადამუშავდა 325 121 TEU. 2014 წელს გადამუშავებული იყო 384 992 TEU, შემცირებამ 16 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული შემცირების ტენდენცია წელსაც გრძელდება, 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, მხოლოდ იანვრის მონაცემებით, შემცირებამ – 43 % შეადგინა, 2015 – 33 410 TEU, 2016 – 18 961 TEU. აღნიშნული შემცირების მიზეზები, გარდა რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების შენელებისა, ნავსადგურში, ბოლო პერიოდში, გაზრდილ მაღალ ტარიფებში, შესაბამისად, როგორც შედეგი, სატრანზიტო საკონტეინერო ნაკადის კონკურენტ ნავსადგურებში გადამისამართებაში უნდა ვეძებოთ.

შავი ზღვის აუზის ქვეყნების ნავსადგურებში 2014 და 2015 წლებში გლობალური ტენდენციების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ, მიუხედავად, რეგიონში არსებული ეკონომიკური კატაკლიზმებისა, ბულგარეთის და რუმინეთის ნავსადგურებმა შეინარჩუნეს დატვირთული კონტეინერების გადამუშავების დადებითი ტენდენციები, კერძოდ, ბულგარეთმა – 2.3%, რუმინეთმა – 2.5 %, გარდა საქართველოს ნავსადგურებისა (ფოთი და ბათუმი), სადაც კლებამ ჯამურად 13% შეადგინა, ანალოგიურად რუსეთის – 13%-ით, უკრაინის – 26%-ით აღირიცხა საკონტეინერო ნაკადის კლება. აღსანიშნავია, რომ მეზობელ ქვეყნების კონკურენტ ნავსადგურებში მიმდინარე წელს შემცირების ტენდენცია დაძლეულია, რისი მკაფიო დადასტურებაა ნოვოროსიისკის ნავსადგური, სადაც, მიმდინარე წლის იანვარ-მარტში შარშანდელთან შედარებით 7.3% ით გაიზარდა საკონტეინერო ნაკადი.

ფოთის ნავსადგურის განვითარების პერსპექტივა – მიუხედავად, საკონტეინერო ტვირთნაკადის გადამუშავების სფეროში განვითარებული უარყოფითი ტენდენციებისა, APM terminals მიზნები ბოლო პერიოდამდე უცვლელი ჩანდა – ფოთის „მეგა ნავსადგურის“ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. პროექტის საერთო ღირებულებაა 250 მლნ აშშ დოლარი, რომლის პირველი ეტაპი ითვალისწინებს ორ ნავსადგომიანი საზღვაო ტერმინალის მშენებლობას, საერთო სიგრძით 600 მეტრი, ხოლო სიღრმე 14-16 მეტრი, რის შედეგადაც ფოთის ნავსადგური შეძლებს post-Panamax მოცულობის გემების დაყენებას, ხოლო ნავსადგომზე უშუალოდ მიბმული საწყობი 1 მილიონ TEU კონტეინერის გადამუშავებას. განსაზღვრულია პროექტის დაწყებიდან 30 თვეში დასრულება. თუმცა ჟურნალ Port Strategy ონლაინ ვერსიაში 14/04/16 გამოქვეყნებულ ინტერვიუში APM terminals-ის ფოთის გენერალური დირექტორის **კლაუს ლარსენის** ხედვით საკონტეინერო ნაკადის შემცირებამ ჩამოყალიბებული ტენდენცია მიიღო, და კომპანიის ინტერესი, აქტიურად განახორციელოს „მეგა ნავსადგურის“ მშენებლობა, მოკლევადიან პერიოდში შენელებულია.



**APM Terminals-ი, საზღვაო ტერმინალების ბიზნესის გლობალური ლიდერი და მსხვილი ინვესტორი, იმ უმაღლესი კლასის კომპანიებს მიეკუთვნება, რომლებთაც შეუძლიათ თავიანთი საქმიანობითა და ტექნოლოგიების დანერგვით ქართულ და რეგიონულ ეკონომიკას დამატებითი სტიმული შესძინონ. ფოთის ნავსადგურში საოკეანო გემების ნავსადგომების მშენებლობა თვისობრივად ახალ საფეხურზე აიყვანს მას შავი ზღვის ნავსადგურებს შორის. აქედან გამომდინარე, გაძლიერდება საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის კონკურენტუნარიანობა ეკონომიკური ციკლის ნებისმიერ ეტაპზე.**

ფოთის ნავსადგურში საკონტეინერო გადაზიდვების სფეროში ინვესტიციების განთავსების დამრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს ალტერნატიული დერეფნების გააქტიურება, კერძოდ, ვოლგა-დონის არხის დახმარებით აზოვისა და კასპიის ზღვებით ბაქოში და ცენტრალურ აზიაში საკონტეინერო გადაზიდვების ორგანიზების მძლავრი ტენდენციები. პერსპექტივაში, ირანისათვის სანქციების მოხსნის პირობებში მოსალოდნელია მის სამხრეთით განლაგებულ ნავსადგურ ბენდერ-აბასის კონკურენტ ნავსადგურად ჩამოყალიბება. უფრო შორეულ პერსპექტივაში, ყარსი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედების შემთხვევაში, თურქეთის ნავსადგურებს (ხოფა, სამსუნი, რიზე, ტრაბზონი), შეექმნებათ მყარი სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ზურგი და ისინი ახლო მომავალში გადაიქცევიან ფოთის კონკურენტ ნავსადგურებად.

ალტერნატიული დერეფნების გააქტიურებისა და რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპების დამუხრუჭების ფონზე, ფოთის ნავსადგურში კონტეინერების მოცულობის შემცირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონკურენტ ნავსადგურებთან შედარებით საზღვაო ხაზების გადაზიდვის მაღალი ტარიფები ჩინეთიდან, როგორც საკონტეინერო ტვირთნაკადის მაფორმირებელი ქვეყნიდან, ზღვით ფოთის ნავსადგურამდე ერთი 40 TEU კონტეინერის ტრანსპორტირების ღირებულება ჩვეულებრივ მაღალია, ვიდრე კონკურენტ ნავსადგურებამდე, მათ შორის, ოდესამდე – 25%-ით, ნოვოროსიისკამდე – 10-15%-ით, სტამბულამდე და სალონიკამდე – 15%-ით, რიგამდე, ტალინამდე, კლაიპედამდე, გდანსკამდე, გდინიამდე 25-40%-ით. მხოლოდ ამ მახასიათებლით რეგიონის სახვადასხვა ნავსადგურებს ეძლევად გარკვეული კონკურენტული უპირატესობა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს საკონტეინერო ბაზარზე, გადაზიდვების მოთხოვნის გაზრდის ან შემცირების შესაბამისად საკონტეინერო ხაზების ტარიფები იცვლება, მაგრამ ნავსადგურებში გადაზიდვის ღირებულებების შეფარდება თითქმის უცვლელი რჩება, სადაც ფოთის ნავსადგური, ამ კომპონენტით, ერთ - ერთ ძვირადღირებულ ნავსადგურს წარმოადგენს. ამ ტენდენციის ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჯერჯერობით საქართველოს არსებულ ნავსადგურებს არ გააჩნიათ საკმარისი სიღრმე ტრანსოკეანური, ძირითადი მარშრუტის გემების მისაღებად, რომელთა ტვირთამწეობა 4000 TEU-ს აჭარბებს.

მნიშვნელოვანია, რომ მათ უზრუნველყონ ასეთი ზომის გემების მომსახურება. დღესდღეობით ჩინეთიდან, სამხრეთ ამერიკიდან ტვირთის საქართველოში მისაღებად კონტეინერი ტრანსოკეანური გემიდან უნდა ჩამოიტვირთოს შუალედურ საოკეანო ნავსადგურში (სტამბული, პირეოსი), შემდეგ დაიტვირთოს პატარა გემზე (ფიდერზე) და იმით შემოვიდეს ფოთში. ამ გზით იზრდება სერვისის დრო და ღირებულება. გარდა საკონტეინერო ხაზებზე მოქმედი მაღალი ტარიფებისა, ფოთის ნავსადგურში ადგილი აქვს კონტეინერის სანავსადგურო-სატერმინალო მომსახურების THC (Terminal Handling Charge) მაღალ ღირებულებას და ამ მაჩვენებლის პერმანენტულ ზრდას – ბოლო პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი 20-25%-ით გაიზარდა. კერძოდ, თუ 2012 წელს 20 TEU კონტეინერისათვის საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 250 აშშ დოლარს, ხოლო 40 TEU კონტეინერისათვის 290 აშშ დოლარს, დღეს 20 TEU ღირებულება შეადგენს 310 აშშ დოლარს, ხოლო 40 TEU-სთვის 380 აშშ დოლარს. გამომდინარე იქიდან, რომ საზღვაო ხაზები ირჩევენ სუბკონტრაქტორ ოპერატორ ტერმინალებს თავიანთი ტვირთების (კონტეინერების) განსათავსებლად და განსაზღვრავენ სატერმინალო მოსაკრებელის პოლიტიკას, საზღვაო ხაზის წარმომადგენლები იმ პირობებში, როცა ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე ეცემა საზღვაო ფრახტის ღირებულება და მცირდება ტვირთები, დანახარჯების საკომპენსაციოდ ტერმინალებში ზრდიან ისედაც მაღალ THC ღირებულებას. თავის მხრივ საზღვაო ხაზები, იმის გამო, რომ ნავსადგურში კონტეინერის განთავსების ადგილი არ არსებობს, უწევთ დამატებითი ხარჯების გაღება, რაც ითვალისწინებს ნავსადგურიდან დაცილებით, ავტოტრანსპორტით საზღვაო ხაზების ტერმინალებამდე კონტეინერების ტრანსპორტირებას, რომლის ღირებულება ერთ კონტეინერზე საშუალოდ 30 აშშ დოლარს შეადგენს.

თავის მხრივ, ტერმინალებში კონტეინერის მომსახურების THC-ის გაძვირებას ჯაჭვური რეაქციის პრინციპი გააჩნია, რაც განპირობებული იყო APM Terminals-ის მიერ ნავსადგომზე სტივიდორული მომსახურების (გემზე დატვირთვა-გადმოტვირთვა) მოსაკრებელის გაძვირებით, კერძოდ, 2014 წლის მიწურულს 20 TEU კონტეინერისათვის 85-დან 100-მდე და 2016 წლის იანვარში 120 აშშ დოლარამდე, ჯამში 30%-ით გაიზარდა.

ფოთის ნავსადგურში კონტეინერების მოცულობის შემცირებამ თანმდევი უარყოფითი ეკონომიკიკური ეფექტი იქონია მომიჯნავე საავტომობილო და სარკინიგზო დარგებისათვისაც, რაც, პირველ რიგში, აისახა წვრილ საავტომობილო მეწარმე გადამზიდავებზე, რომლებიც, ფინანსურად, ძირითადად ფოთი-თბილისის გადაზიდვების ამ სეგმენტზე არიან დამოკიდებული. ხოლო იმ პირობებში, როცა საქართველოს გააჩნია რკინიგზით ჩინეთიდან ფოთამდე საკონტეინერო მატარებლით გადაზიდვების ორგანიზებაზე ამბიცია, ფოთში, საკონტეინერო ტვირთნაკადის შემცირება სათუოს ხდის საკონტეინერო ბლოკ მატარებლების ფორმირების პერსპექტივებს, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე დერეფნის მთელ სიგრძეზე.

საკონტეინერო ლოგისტიკური სქემის კიდევ ორი ინფრასტრუქტურული „ვიწრო ადგილის“ არსებობა აბრკოლებს ნავსადგურის გამართულ მუშაობას. კერძოდ, APM terminals-ის მფლობელობაში ფოთის ნავსადგურის საკონტეინერო ნავსადგომებზე ისევ გრძელდება არასაკონტეინერო, დაბალი სიჩქარის პორტალური ამწეების გამოყენება. შედარებისათვის ფოთის ნავსადგომებზე საკონტეინერო გემის დაცლა-დატვირთვის წარმადობა არის 16-18 ერთეული კონტეინერი საათში, მაშინ როდესაც ევროპის, აზიისა და ამერიკის პორტებში ანალოგიური სიდიდის გემებზე ეს ინდიკატორი 2-3-ჯერ მაღალია. მეორეს მხრივ, საზღვაო ხაზების სუბკონტრაქტორი საკონტეინერო ტერმინალების ნავსადგურების გარეთ განლაგება სხვა არჩევანის არქონის გამო, ეს, ერთი შეხედვით, შესაძლოა, დადებითიც იყოს, რადგანც ხელს უწყობს ტერმინალებში, და ნავსადგურიდან ტერმინალებამდე ავტოტრანსპორტის გამოყენებისას დამატებითი პერსონალის დასაქმებას, არადა, ნავსადგურის გარეთ ტერმინალების ასეთი გან-

ლაგება, დამახასიათებელია „მეგა“ ტიპის ნავსადგურებისათვის, მაგალითად, ჩინეთში მაღალი ტვირთბრუნვის გამო, როცა ნავსადგურის ტერიტორია გადატვირთული და შექმნილი სივრცითი დეფიციტია, ხდება კონტეინერების ნავსადგურის გარე პერიმეტრზე მოწყობილ ე.წ. ზურგის ტერმინალებში დალაგება, მაგრამ არამც და არამც, ასეთი მიდგომა მისაღები არ არის ფოთის ნავსადგურისათვის, რადგანაც ავტოტრანსპორტით კონტეინერების დასასაწყობებლად შორ მანძილზე ტრანსპორტირება მხოლოდ აძვირებს სატერმინალო ტარიფებს.

აღსანიშნავია, რომ 90-იანი წლებიდან საზღვაო ხაზების კონტრაქტორი ზურგის ტერმინალების, როგორც, ძირითადი ტვირთგადამამუშავებელი კვანძების გამოყენება დაიწყო თავისუფალი სივრცის უქონლობის გამო, უშუალოდ ფოთის ნავსადგურში და მიმდებარე მჭიდროდ ათვისებულ ტერიტორიებზე. დიდწილად ამ ტერმინალების მცირე და საშუალო ინვესტორების და კერძო ოპერატორების დამსახურებაა ასეთი გზით საკონტეინერო ტვირთებისთვის დამაკმაყოფილებელი გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა საქართველოსა და მთელი რეგიონისთვის ათწლეულების მანძილზე. თუმცა, მათი ტექნიკურ-ოპერაციული შესაძლებლობები და მუდმივად დროებითი და ბუნდოვანი სტატუსი გამორიცხავს მათ გამოყენებას ტვირთბრუნვის ზრდის ხელშემწყობ ინსტრუმენტად გრძელვადიან პერსპექტივაში. ამასთან, მათი სამომავლო როლი არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება დამატებული ღირებულების – სერვისების შეთავაზებით (მაგ. სამაცივრე, გადატვირთვის, გადაფუთვის, საწარმოების მომარაგების ჯაჭვის მართვის სერვისები) ბოლო მონაცემებით APM Terminals-მა საქართველოში შემოსვლის დღიდან განახორციელა ჯამურად 70 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია ფოთის არსებული ნავსადგურის ინფრასტრუქტურის განახლებასა და ზემოთ აღნიშნული მეგა-ნავსადგურის ნაპირის მხარის, ანუ მხოლოდ საკონტეინერო საწყობის განვითარებაში. თუმცა ჯერჯერობით მივიღეთ კიდევ ერთი გარე სანავსადგურე, ტერმინალი ნავსადგომის გარეშე და გლობალური ოპერატორის ჩაბმა ადგილობრივ თამაშში ძველი წესებით. რადგანაც გრძელვადიან პერიოდში, ყოველივე ეს აისახება ტვირთების მომსახურების ხარისხზე და გემის დაცლის სისწრაფეზე, გემების დამატებითი სადღეღამისო მოცდენა როგორც ნავსადგურში, ასევე „რეიდზე“ ყოფნის რეჟიმში, მნიშვნელოვნად ზრდის ხარჯებს და უბიძგებს საზღვაო ხაზებს მოცდენების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები დააკისრონ რეგიონში მოქმედ იმპორტიორ-ექსპორტიორებს.

ერთობლიობაში პროცესმა – დაწყებული საზღვაო ხაზების მიერ კონტეინერის ტრანსპორტირებიდან ფოთის ნავსადგურში გადმოტვირთვის და ტერმინალში დასაწყობების ჩათვლით, ბოლო პერიოდში გაძვირების და დაგეგმილი ინვესტიციების განხორციელების დამუხრუჭების ტენდენცია მიიღო, რაც არა მარტო ადგილობრივი, არამედ ტრანზიტული ტვირთების შემცირების და ფოთის ნავსადგურის კონკურენტუნარიანობის დაქვეითებაზე მიუთითებს.

უდავოდ, APM Terminals-ი, საზღვაო ტერმინალების ბიზნესის გლობალური ლიდერი და მსხვილი ინვესტორი, იმ უმაღლესი კლასის კომპანიებს მიეკუთვნება, რომლებთაც შეუძლიათ თავიანთი საქმიანობითა და ტექნოლოგიების დანერგვით ქართულ და რეგიონულ ეკონომიკას დამატებითი სტიმული შესძინონ. ფოთის ნავსადგურში საოკეანო გემების ნავსადგომების მშენებლობა თვისობრივად ახალ საფეხურზე აიყვანს მას შავი ზღვის ნავსადგურებს შორის. აქედან გამომდინარე, გაძლიერდება საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის კონკურენტუნარიანობა ეკონომიკური ციკლის ნებისმიერ ეტაპზე.

ზოგადად, ამ პროექტის მალე განხორციელება ვერ იქნება მოკლე და საშუალოვადიანი კომერციული სასწაული, მაგრამ საუკეთესო სასტარტო პირობებს მოიტანს ნებისმიერი ინვესტორისთვის. საბედნიეროდ, ანაკლიის ნავსადგურის განვითარების კონსორციუმის სახით არსებობს ადგილობრივი სხვა ალტერნატივა, რომელიც შეეცდება, აქტიურად გამოიყენოს ეს შესაძლებლობა.

**პაატა ცაგარეიშვილი,**
**სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრი;**
**მირზა დოლიძე,**
**საზღვაო დარგის ეკონომისტი**

# სისასტიკის ფილოსოფია

**ვიცი, რასაც ახლა ვიტყვი, იგი წვრილმანი პოლიტიკური ვნებებით შეპყრობილ საზოგადოებას არ დააინტერესებს. დღეს ხომ მისთვის უფრო მნიშვნელოვანი და უფრო საინტერესო რომელიმე მესამეხარისხოვანი „მოღვაწის“ პოლიტიკაში დამკვიდრებისთვის ბრძოლის პერიპეტიები და შეუსრულებლობისთვის განწირული დაპირებები, ვინმე საეჭვო ყოფაქცევის „ცნობადი სახის“ პიკანტური თავგადასავლები, ან, სულაც, აჭარის ტყიდან დენდროლოგიურ პარკში გადარგული ხის „ტანჯული მოგზაურობაა“.**

ერთი თბილისელი უმამო ბიჭის სევდიანი ისტორია მინდა, გიამბოთ. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მან უკვე მოასწრო ქართული ციხის საშინელებათა საკუთარ თავზე გამოცდა. 18 წლისა ყაჩაღობისთვის გაასამართლეს – თანატოლს ქუჩაში პლასტმასის ბრჭყვიალა სამაჯური წაართვა. დაახლოებით ხუთ ლარად შეფასებული სამკაული კი არ შეეხარბა და მისით კეკლუცობა გადაწყვიტა, უბრალოდ, ტრადიციული ქართულ-პლეხანოვური მენტალიტეტის გულუბრყვილოდ პატივისმცემელმა საეჭვოდ შემკულ-დაპუდრული თანატოლის დაჩაგვრა მოინდომა. არ ვამტკიცებ, რომ ეს უმანკო საქციელია და არ უნდა დაისაჯოს. სასამართლოს შეეძლო, გაეთვალისწინებინა, რომ ეს იყო ერთი, იქნებ უსაფუძვლოდ ამბიციური თბილისელი ბიჭის ბრძოლა თვითდამკვიდრებისთვის, ბურუსიანი მომავლისა და უიმედობისგან გაქცევის მცდელობა, ჩვეულებრივი წვრილმანი ხულიგნობა და მეტი არაფერი. ამის გამო 18 წლის ბიჭის ყაჩაღობის მუხლით გასამართლება და მისი ექვსი წლით სააკაშვილ-მერაბიშვილის ციხეში გამოკეტვა, ვფიქრობ, არაადამიანური საქციელია. თუმცა, რას ვამბობ, ეს ხომ „ნულოვანი ტოლერანტობის“ გარიჟრაჟზე მოხდა. ეს ის ეპოქაა, როცა საქართველოში მძვინვარებს პოლიციური დაუნდობლობა – „ყველანი ციხეში“!



ნურავის ეგონება, რომ ნაცმოძრაობის მიერ მისივე მარადიული მმართველობის დასამკვიდრებლად შექმნილი საზოგადოების დაშინების ეს მაკიაველისტური თეორია ნაცმოძრაობის მეორე პლანზე გადანაცვლებისთანავე უკვალოდ გაქრა და თავს აღარასოდეს შეგვახსენებს. მისგან გათავისუფლება დიდ დროს, საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა ღრმა ცოდნას, დიდ სიმამაცეს და პროფესიულ პატიოსნებას მოითხოვს. აღარაფერს ვამბობ მთლიანად მართლმსაჯულების სისტემის რეფორმებსა და ნიკოლო მაკიაველის ბრმა მიმდევრებისგან მის გაწმენდაზე.

დაუნდობლობა, დანაშაულის მიღმა მისი გამომწვევი მიზეზების პრინციპული დაუნახაობა, სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებების გაუთვალისწინებლობა, საბოლოოდ, ქვეყნის მომავალზე ხელის ჩაქნევა თანამედროვე ქართული მართლმსაჯულებისა და მთლიანად ქართული საზოგადოების შავი ჭირია. პროკურორიც, მოსამართლეც, განსასჯელიც, ყველა ჩვენგანი ამ საზოგადოების წევრები ვართ და ეს ტრაგედია ყველა ჩვენგანის თავს ტრიალებს.

მგონი, შორს წავედი.

ახალი საქმე, რომელიც უკვე 27 წლის ლადო ჭილლაძეს პოლიციის მონდომებით „შეუკერეს“, მეტი რომ არ იქნება ისეთი გამჭვირვალედ ბრიყვული და შურისმაძიებლურია. ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ მეტისმეტად სამარცხვინოცაა. ასეთი შთაბეჭდილება დარჩება ყველა ჭკუათმყოფელს, ვინც ამ პრიმიტიულ „საქმეს“ გაეცნობა. თანაც, სულ ოციოდე გვერდს. ძალიან მოკლედ, იგი ეხება პოლიციისადმი დაუმორჩილებლობას (სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს!).

შარშან, 8-დან 9 სექტემბრის ღამეს, დაახლოებით 2 საათსა და 30 წუთიდან ვარკეთილში, მაღაზია „ორი ნაბიჯიდან“ ორ ნაბიჯზე ნასვამი ახალგაზრდების ჯგუფსა (დავარქვათ მას პირობითად „სვანური ჯგუფი“) და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟს შორის შელაპარაკება მოხდა. როგორც პოლიცია ამტკიცებს, ახალგაზრდები ხმაურობდნენ, ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ, ერთი სიტყვით, არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს. პოლიციამ მათი იზოლირება და პოლიციაში გადაყვანა მოინდომა, მაგრამ ამისთვის მისი ძალები აშკარად უკმარი აღმოჩნდა. საჭირო გახდა დამატებით ორი სამკაციანი ეკიპაჟის გამოძახება.

ამავე პერიოდში შინ დაბრუნებას აპირებს იქვე მცხოვრებ მეგობართან სტუმრად მისული ლადო ჭილლაძე. მას მასპინძელიც აცილებს. ლადო და მისი მეგობარი დათუნა გოცირიძე „სვანური ჯგუფის“ წევრებს არ იცნობენ, არც კონფლიქტში მონაწილეობენ.

ვინაიდან სტუმრის გასაცილებლად გასულ შვილს შეაგვიანდა, გარეთ დათუნას მამა, ირაკლი გოცირიძეც გადის.

საბოლოოდ, ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც კეთილ საბჭოთა მილიციურ ზღაპარში - თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს გმირმა პოლიციელებმა თავგასული წესრიგის დამრღვევები ძალის გამოყენებით დააპატიმრეს და „პოლიციაში წარმოადგინეს“. მათ შორის, ლადო ჭილლაძე და მამა-შვილი გოცირიძეებიც. რაიმე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით, რომ პოლიციელების მტკიცებით, ოპერაციის მიმდინარეობისას ორ მათგანს მაისური შემოახიეს. ორივეს ერთნაირად – მარცხნიდან მარჯვნივ, ზემოდან ქვემოთ. რაც მთავარია, ამ მომაკვდინებელი ცოდვის შემოქმედები ლადო ჭილლაძე და მამა-შვილი გოცირიძეები იყვნენ. საქმეში არის ამის დამადასტურებელი ნივთმტკიცებები და პოლიციელების ჩვენებებიც.

**სისასტიკის ფილოსოფია სააკაშვილის „ნულოვანი ტოლერანტობის“ სახით საქართველოში ისევ მძლავრობს. ქართული მართლმსაჯულება მისი გავლენიდან ვერა და ვერ თავისუფლდება – სამართლიანობა და მიმტევებლობა, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ „მერე მე არაფერი მამივა?!“**

ყველაზე საინტერესო მოვლენები ამ კრიმინალურ ისტორიაში სწორედ ამის შემდეგ ვითარდება. „სვანების ჯგუფიც“ და ჭილლაძე-გოცირიძეებიც ამტკიცებენ, რომ ისინი ერთმანეთს არ იცნობენ და ერთადაც არ ყოფილან. უბრალოდ, იმ ნაშუაღამევს „ორი ნაბიჯის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ერთმანეთის შორიახლოს მისი უდიდებულესობა შემთხვევის წყალობით აღმოჩნდნენ; რომ საერთო აყალმაყალში და გაწევ-გამოწევაში ჭილლაძე-გოცირიძეებს მონაწილეობა არ მიუღიათ. სხვათა შორის, ამასვე ირიბად ამტკიცებს სასამართლოს გადაწყვეტილებაც: მან დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და შესაბამისი ფინანსური გარიგების საფუძველზე აღმკვეთი ღონისძიებისგან გაათავისუფლა „სვანების ჯგუფი“. ლადო ჭილლაძემ კატეგორიული უარი განაცხადა საპროცესო შეთანხმებაზე და უკვე რვა თვეზე მეტია, პრინციპულად თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობს. სამწუხაროდ, ზოგჯერ კორექტულობაც ღალატობს.

პროკურატურის ლოგიკა, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია – თუ ეს ერთი ჯგუფი იყო, მაშინ ყველა ერთნაირად უნდა დაესაჯათ. თუ ლადო ჭილლაძის პოლიციისთვის გაუგებარი პრინციპულობის გამო მამა-შვილ გოცირიძეებს მეცხრე თვეა, წინასწარი პატიმრობის საკანში აყურყუტებენ, მეორე, მთავარ ჯგუფს რალაზე გაურიგდნენ?

არ მინდა, პოლიციელების მიმართ კიდევ რაიმე საყვედური წამომცდეს. მე ყურადღებით შევისწავლე მათი ჩვენებები. სასამართლო სხდომებზე მათ დაკითხვებსაც დავესწარი. გულწრფელად რომ ვაღიარო, მრცხვენია, ძალიან მრცხვენია მათი გონებრივი უსუსურობისა და პროკურატურისადმი მონური დამოკიდებულების გამო. მეტს ჯერჯერობით არაფერს ვიტყვი. ხოლო თუ ვინმე არაკორექტულობასა და არაობიექტურობაში დამადანაშაულებს (თუმცა, მეეჭვება ჩვენს პოლიციაში ასეთი თავზეხელაღებულიც გამოჩნდეს), მწარე სიმართლის დამამტკიცებელ მათივე ხელით შემნილ დოკუმენტებს მაშინ მოვიშველიებ.

ახლა რაც შეეხება პროცესში მონაწილე პროკურორს, ვისი კატეგორიული მოთხოვნითაც სამი ადამიანი (ლადო ჭილლაძე, ირაკლი და დათუნა გოცირიძეები) უკვე რვა თვეზე მეტია, სასამართლოს გადაწყვეტილებას ციხის საკანში ელოდება. მისი საქციელი არც გონებასუსტობაზე მიუთითებს და არც სამარცხვინო რამ საქციელზე. ეს არის ბევრად უარესი – საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული აშკარად ანტისაზოგადოებრივი ქმედება. ხაზს ვუსვამ – ეს გახლავთ სრულიად შეგნებულად ჩადენილი ქმედება, საქართველოს მოქალაქეებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში საქართველოს სახელმწიფოს, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების დისკრეტიზაციის მიზნით. მადლობა უფალს, რომ დიადი პოლიტიკური ინტრიგებით გართულმა „ენჯეოებმა“ ჯერჯერობით ასეთი „წვრილმანისთვის“ ვერ მოიცალეს.

ლადო ჭილლაძეს (და მისი „ხათრით“ მამა-შვილ გოცირიძეებსაც) პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს დამთავრებამდე აღმკვეთ ღონისძიებას, პატიმრობას, თურმე, სხვა აღმკვეთი ღონისძიებით იმიტომ არ უცვლიან, რომ მან (ლადო ჭილლაძემ!) თურმე, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მოწმეებზე (იგულისხმება ბრალდების მხარდამჭერი „მოწმე“ პოლიციელები, ვინაიდან სხვა მოწმეები მის კონფლიქტში მონაწილეობას არ ან ვერ ადასტურებენ!); ან, შესაძლოა, სადმე უცხოეთში გადაიხვეწოს და ამით სასამართლოს სამართლიან განაჩენს თავი აარიდოს. იგი ხომ უკვე ერთხელ ნასამართლევია საშინელი დანაშაულის, ყაჩაღობის გამო - ოდესღაც უბნელ ბიჭს პლასტმასის „ბრასლეტი“ „შეაწერა“!

რაც მთავარია, პროკურატურის უაზრო „პრინციპულობა“ აშკარად ხელს უშლის სასამართლოს ლოგიკური განაჩენის დადგენაში.

სისასტიკის ფილოსოფია სააკაშვილის „ნულოვანი ტოლერანტობის“ სახით საქართველოში ისევ მძლავრობს. ქართული მართლმსაჯულება მისი გავლენიდან ვერა და ვერ თავისუფლდება – სამართლიანობა და მიმტევებლობა, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ „მერე მე არაფერი მამივა?!“

და სხედან ციხეში უდანაშაულო, ბოდიში ბატონებო, ახალგაზრდა საქართველოს ახალგაზრდა ბრალდაუმტკიცებელი მოქალაქეები. მათთვის უკვე დიდი მნიშვნელობა აღარა აქვს, დასჯიან თუ გაამართლებენ – მათ უკვე აღარც ქვეყნისა სჯერათ, აღარც სამართლიანობისა, აღარც აწმყოსი და აღარც მომავლისა.



ძალიან მინდა, მათ ჩვენი ხმაც მივაწვდინო – ნუ გაბოროტდებით, ბიჭებო, ეს მაინც ჩვენი სამშობლოა!

**თეიმურაზ ქორიძე**

# შემოვლითი რკინიგზის პრობლემას ვერ შემოუარეს!

**შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა ვერც წელს განახლდება. პროექტი კარგა ხანია, გაჩერებულია. თითქოს სამთავრობო გადაწყვეტილება მიღებულია, მაგრამ რეალურად საქმე არ დაძრულა.**

თბილისის მერიაში აცხადებენ, რომ შემოვლითი რკინიგზის პროექტი დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმის პირველ ნაწილში გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, შემოვლით რკინიგზასთან დაკავშრებით, გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის და როდესაც გენერალური გეგმის საბოლოო ვარიანტი მომზადდება, რკინიგზის გადატანის ბედიც სწორედ მაშინ გადაწყდება.

რამდენადაც წელს დედაქალაქის გენერალური გეგმის მომზადება ვერ მოესწრება, შესაბამისად, არც შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის გაგრძელებას უნდა ველოდოთ. არადა, მთავრობაში გადაწყვეტილი აქვთ, რომ რამდენიმე წლის წინათ შეჩერებული პროექტი ისევ ამოქმედდეს და ამით თბილისმაც გარკვეული შეღავათი იგრძნოს.



როგორც ცნობილია, „საქართველოს რკინიგზამ“ თბილისის მერიას შემოვლითი რკინიგზის სამი პროექტი შესთავაზა. ერთ-ერთი თბილისის ცენტრალური სადგურის მთლიანად გადატანას გულისხმობს. მეორე პროექტის მიხედვით, რკინიგზას ნაწილობრივ გადაიტანენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც თბილისის ფარგლებში, 70 ჰექტარზეა განთავსებული, დედაქალაქში აღარ იქნება და დარჩება უშუალოდ რკინიგზა 13 ჰექტარზე. მესამე ვერსიით, მცირეოდენი ცვლილება შეეხება შემოვლით მიმართულებას და რკინიგზა ქალაქში მინიმალური დოზით დარჩება.

პროექტიდან ერთ-ერთს მერია მას შემდეგ შეარჩევს, რაც განაშენიანების გენერალური გეგმა მომზადდება. დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმის პირველი ნაწილი უკვე დასრულდა, საბოლოო დოკუმენტი კი მზად მომავალ წელს იქნება.

სატრანსპორტო სფეროს ექსპერტის შალვა ოგბაიძის აზრით, რკინიგზის თბილისის პერიფერიაში გადატანა დედაქალაქში მოძრაობას განტვირთავს. ამ თვალსაზრისით ორი მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება შეიძლება.

**„გასული საუკუნის დასაწყისში, როდესაც ჩვენს დედაქალაქზე გაიარა რკინიგზამ, მაშინ თბილისში 200 000-ზე ოდნავ მეტი ადამიანი ცხოვრობდა და პრაქტიკულად მოძრაობის ის ინტენსივობა, რაც მაშინდელ სარკინიგზო მიმოსვლას ჰქონდა ჩვენი დედაქალაქის გავლით, ისეთი მაღალი არ იყო. ამიტომ დედაქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას სერიოზული რისკიც ემუქრებოდა.**

**მაგრამ დრო შეიცვალა, თბილისი განვითარდა, არასრული მონაცემებით, დღეს დედაქალაქში მილიონნახევარი მცხოვრებია. გარდა ამისა, რისკი საკმაოდ მაღალია ქალაქის ცენტრში სახიფათო ტვირთების გადაადგილების თვალსაზრისით. ამ მიზნით აუცილებელია რკინიგზის გადატანა, მაგრამ ქალაქის გარეთ მისი გადატანა არ უნდა იყოს ისეთი, რომელიც ახალ პრობლემებს გააჩენს, მან არ უნდა გაიაროს ისეთ რელიეფზე, რომელიც იქნება წამგებიანი. ამ კომპონენტების გაუთვალისწინებლობამ შეიძლება წარუმატებელი გახადოს გადატანა, მაგრამ იდეა, რკინიგზის ქალაქგარეთ გატანისა, აუცილებელია“,** — აღნიშნა „ოლნიუსთან“ საუბრისას შალვა ოგბაიძემ. მისი თქმით, რკინიგზის გადატანის შემთხვევაში, რჩება გამოთავისუფლებული გზის საფარი, რომლის გამოყენება შეიძლება მოძრაობის განსატვირთად ან სწრაფი ელექტროტრანსპორტის შესაქმნელად.

**ბექა დანელია**



◉ „სიცილისა და პოზიტივის კარნავალი“

## ფული სიცილმა ჩაანაცვლა

**მაისში** მსოფლიო სიცილის დღეს აღნიშნავს. შარშან ჟურნალისტთა ინიციატივით ამ დღეს საქართველოც შეუერთდა. კვირას კარნავალს დედაქალაქმა რუსთაველის პროსპექტზე უმასპინძლა. თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს კარნავალის მხარდამჭერი კომპანიების მიერ გამოტანილი პროდუქციის, სუვენირების, ტკბილეულისა და სათამაშოების შეძენა ფულის ნაცვლად... სიცილით შეეძლოთ. აქცია-დღესასწაულმა ბევრი გაახარა. სწორედაც ეს არის აქციის ინიციატორთა მიზანი — ქვეყანაში არსებული ნეგატიური ფონი პოზიტივით, სიცილით, დადებითი ემოციებით განმუხტონ.

იმედია, სიცილისა და პოზიტივის კარნავალს მომავალ წელს უფრო მეტი მნახველი და მხარდამჭერი ეყოლება.

**გივი ჯოლბორდი,**
ავტორის ფოტოკოლაჟი.

## გაფორმდა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება

**პეკინში** გაიმართა საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მოლაპარაკებების მე-2 რაუნდი.

საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე. შეხვედრისას მხარეების მიერ კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ ორივე მხარე მზად არის, მოლაპარაკებები 2016 წლის ბოლომდე დაასრულოს. მოლაპარაკებების მეორე რაუნდზე მხარეებს შორის მოხდა შეთავაზებების გაცვლა საქონლით ვაჭრობის და მომსახურებით ვაჭრობის ნაწილში. მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული საბაჟო პროცედურების, წარმოშობის წესების, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების, ვაჭრობაში დაცვითი ზომების, კონკურენციის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და მომსახურებით ვაჭრობის ნაწილებში.

მოლაპარაკებების მეორე რაუნდს დამკვირვებლის სტატუსით ესწრებოდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალური ადმინისტრაციულ ერთეულის ჰონგ-კონგის წარმომადგენლები. ჰონგ-კონგის მთავრობა უახლოეს მომავალში მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ რა ფორმით მიუერთდეს საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას. მხარეებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ მოლაპარაკებების მე-3 რაუნდი გაიმართება თბილისში, მიმდინარე წლის ივლისის თვეში.

## ებრაელი ჟურნალისტები ქართულ ღვინოს პოპულარიზაციას გაუწევენ

**ღვინის** ფესტივალის ფარგლებში ისრაელის ღვინისა და გასტრონომიული ტურიზმის თემატიკაზე მომუშავე სხვადასხვა ჟურნალების, ელექტრონული გამოცემებისა და ბლოგების წარმომადგენლებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ უმასპინძლა.

ღვინის ფესტივალზე მედიის წარმომადგენლებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე შეხვდა. სტუმრებმა მოინახულეს საქართველოს სხვადასხვა ტურისტული ღირსშესანიშნაობები. ჟურნალისტები საქართველოს შესახებ ისრაელის პოპულარული გამოცემებისთვის სტატიებს მოამზადებენ.

როგორც ტურიზმის ადმინისტრაციაში აცხადებენ, ისრაელიდან სულ უფრო მეტი ტურისტი სტუმრობს საქართველოს. 2016 წლის იანვარ-აპრილის პერიოდში ისრაელიდან საქართველოს 11,124 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 106%—ით მეტია.

## თანადაფინანსებული პროექტები საბურთალოელებისთვის

**საბურთალოს** რაიონის გამგეობის თანადაფინანსებული პროექტების განყოფილებამ მიმდინარე წლის დასაწყისიდან დღემდე 112 სხვადასხვა სახის პროექტი დააფინანსა. თანადაფინანსებულ პროექტებს შორისაა ლიფტების, სახურავების, სართულშუა ნაპრალების ამოვსებისა და სხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ამ დრომდე, სახურავების რეაბილიტაციის პროექტი დაფინანსდა 25 მისამართზე, განახლდა 19 ლიფტი, რეაბილიტირდა 22 კიბე 14 მისამართზე, 4 მისამართზე დამონტაჟდა 9 კარი, სართულშუა ნაპრალების ამოვსების პროექტი 18 მისამართზე განხორციელდა, შერემონტდა 60 სადარბაზო 30 მისამართზე, წყალკანალიზაციის სისტემები შეიცვალა 10 მისამართზე. თანადაფინანსებულ პროექტებში მოხვდა სენსორული სანათების მონტაჟი ორ და წყალსაწრეტების რეაბილიტაცია 1 მისამართზე.

# ბანკები არაპროფილურ ბიზნესს ეწევიან

**ბანკების მიერ არაპროფილური ბიზნესის ფლობის საკითხი ისევ აქტუალურია.** საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ვითომ შეზღუდვა დაუწესა კომერციულ ბანკებს, მაგრამ ყველამ იცის, რომ რეალურად ამ კუთხით არაფერი შეცვლილა. შესაბამისად, პრობლემას სიმწვავე არ მოკლებია.

**„სიმახინჯის ერთ-ერთი საფუძველია ის, რომ ბანკებს არაპროფილური აქტივების ფლობის უფლება ჰქონდათ წლების განმავლობაში. ისინი ფლობენ ბიზნესებს მედიცინაში, დაზღვევაში, მშენებლობაში, ტურიზმში, სარესტორნო ბიზნესში და ა.შ. ამიტომ ბანკები, რასაკვირველია, არ არიან დაინტერესებული კონკურენტების დაფინანსებით.**

**მე ამას ყველაფერს ბანკებს არ ვაბრალებ — რა ბანკების ბრალია, რომ ქვეყანაში არც ერთი ალტერნატიული ფინანსური ინსტიტუტი არ არსებობს? არ არსებობენ ინსტიტუციონალური ინვესტორები, ვენჩურული კომპანიები, საინვესტიციო ფონდები და ა.შ. კანონმდებლობამ ყველაფერი ბანკებზე „ჩამოკიდა“. საბანკო სისტემის სიმახინჯის გამოვლენაა ბანკებში არსებული რიგები: გაღარიბებულ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 72 პროცენტი უხელფასოა, ბანკებშია ატუზული. ბანკებში რიგები წარმოუდგენელია და ეს მხოლოდ საქართველოში ხდება“,** — აცხადებს ეკონომიკის სფეროს ექსპერტი დემურ გიორხელიძე.

მისი თქმით, ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობა მათი ხელისუფლებასთან დაახლოებული ურთიერთობის შედეგია, რამდენდაც ეს არის ხელისუფლებისა და პრივილეგირებული ბიზნესის შერწყმის შედეგი, რაც კარგს არაფერს უქადის არც დღევანდელ ხელისუფლებას და არც ზოგადად საქართველოს.

მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ირაკლი როსტომაშვილი ადასტურებს, რომ ბანკები არაპროფილურ ბიზნესს ძველებურად აკონტროლებენ და ამ მიმართულებით, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა.




**„ბანკებს ყველგან აქვთ ბიზნესები. ამიტომ არ ვითარდება საქართველოში ბიზნესი. ბანკი არის ორგანიზაციისთვის სისხლის მიმოქცევის სისტემა, რომელიც არ მუშაობს და ეს ორგანიზმი კვდება“,** — დასძენს როსტომაშვილი.

მისი აზრით, თუკი ხელისუფლება მოინდომებს, საბანკო სექტორს სხვა ბიზნესისგან რეალურად გამიჯნავს და ეს პროცესი არც ისე რთული იქნება. სხვა შემთხვევაში კომპანიები გაკოტრდებიან, ბანკები კი გამდიდრდებიან და მათ ქონებასაც დაისაკუთრებენ.

**ბექა დანელია**

# „კასპიის ზღვა-სპარსეთის ყურე“ – საუკუნის პროექტი

**მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლება ქვეყნისთვის უნაყოფო ვოიაჟს-ვოიაჟზე ახორციელებს ევროატლანტიკურ სივრცეში, მის რეგიონში მნიშვნელოვან მოვლენებს აქვს ადგილი. ორი უშუალო მეზობელი — აზერბაიჯანი და სომხეთი ეკონომიკური, განსაკუთრებით საკომუნიკაციო საკითხებით არიან დაკავებული, თანაც ისე, მთიან ყარაბაღთან მიმართებაში თითქმის ომში გადასულ კინკლაობასაც რომ ასწრებენ.**

ბოლო ომი (ექსპერტთა მიხედვით, ამ კონფლიქტს უდავოდ შეიძლება ეწოდოს ომი) ისეთი გამოდგა, რომ უმალ მიიქცია დიდი სახელმწიფოების, მათ შორის რუსეთ-ირანის ყურადღება და ისინიც თავით გადაეშვნენ ახლად აფეთქებული დაპირისპირების მორევში. ორივე მათგანისთვის ახალი ომის გაჩაღება მიუღებელია, ვინაიდან მას არა მარტო რეგიონის ქვეყნების ჩართვა შეიძლება მოჰყვეს, არამედ დიდი სახელმწიფოების.

მთიანი ყარაბაღი მუდამ საფრთხის გამომწვევი დენთის კასრია. პატარა ნაპერწკალიც საკმარისია, ახლო აღმოსავლეთის სიახლოვეს, ახალი, მუდმივი ხანძრის გასაჩენად. რუსეთ-ირანის პოზიცია პაციფისტურია — მჭიდრო, მეზობლური ურთიერთობების გათვალისწინებით. განსაკუთრებული პოზიცია უკავია თურქეთს, აზერბაიჯანის სტრატეგიულ მოკავშირეს, რომელმაც პრეზიდენტისა და პრემიერის პირით არაერთხელ დააფიქსირა აზერბაიჯანთან დგომა და ძალის არდაშურება სომხეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების აზერბაიჯანისთვის დაბრუნებაში.

თურქეთი ცალსახად უჭერს მხარს აზერბაიჯანს, უფრო მეტიც, აგულიანებს დაპყრობილის დაბრუნებისთვის. თურქეთი, სომხეთის მუდმივი მოწინააღმდეგე რომ აზერბაიჯანს უჭერს მხარს — გასაკვირი არაფერია. ისტორიული შეუთავსებლობის გარდა, თურქეთი ვერ იტანს სომეხთა წინააღმდეგ მის მიერ განხორციელებული გენოციდის აფიშირებას, მითუმეტეს მის აღიარებას სხვადასხვა სახელმწიფოების მხრიდან.

სომხეთი, რუსეთის მოკავშირეა, თან „ოდკბ“-ს („ОДКБ“) წევრი და ევრაზიული კავშირის შემადგენელი ნაწილი, რაც წითელი ნაჭრის როლს ასრულებს ოფიციალური ანკარისთვის. ყარაბაღის პრობლემაც რომ არ იყოს, სომხეთ-რუსეთის მეგობრული კავშირებიც საკმარისი იქნებოდა რუსეთის მოწინააღმდეგე თურქეთისთვის, ანტისომხური პოზიციის დასაკავებლად.

რუსეთ-თურქეთ-ირანის თვალთახედვა, მითუმეტეს პოლიტიკა, ერთმანეთს უპირისპირდება სირიის საკითხში. რუსეთ-ირანი მხარს უჭერენ სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს და დიდ დახმარებას უწევენ მას ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლაში. თურქეთი საპირისპიროდ მოქმედებს — უწევს რა „ისლამურ სახელმწიფოს“ დახმარებას ნავთობით ვაჭრობაში და ა.შ.

ახლო აღმოსავლეთის დაძაბულობის გათვალისწინებით, ყარაბაღის ომი მთელი რეგიონისთვის მძიმე შედეგების მომტანი იქნება. სწორედ აღნიშნულის თავიდან აშორების მიზნით, ბაქოში ვიზიტი განახორციელეს რუსეთისა და ირანის საგარეო საქმეთა მინისტრებმა. ვიზიტი კონფლიქტის დაწყებიდან სულ თითზე ჩამოსათვლელ დღეებში მოხდა და დადებითი წვლილი შეიტანა კონფლიქტის ჩახშობაში.

ბაქოში ვიზიტის დროს მოლაპარაკებაში მონაწილე რუსეთის, ირანის, აზერბაიჯანის მხარეებმა სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც განიხილეს, მათ შორის ირან-აზერბაიჯანის შემაერთებელი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა, რომელსაც მოგვიანებით მოჰყვა ასტარის სასაზღვრო პუნქტში ოფიციალური ცერემონია — ირან-აზერბაიჯანის სარკინიგზო ხიდის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით.

ხიდის მშენებლობა ამ წლის ბოლომდე დამთავრდება, რითაც მოხდება ირან-აზერბაიჯანის რკინიგზათა შეერთება და არა მარტო, არამედ რუსეთის რკინიგზასთან მიერთება. სამი ქვეყნის რკინიგზის შეერთება უმნიშვნელოვანესი რამაა არა მარტო ამ ქვეყნების ტვირთბრუნვის გაზრდის საქმეში. მას უდიდესი მნიშვნელობა ექნება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კავკასიასთან, რუსეთთან, ევროპასთან დაკავშირების საქმისთვის.

სამხრეთ-ჩრდილოეთის სარკინიგზო მარშრუტი, მეორეა საგზაო-სატრანსპორტო მარშრუტთან ერთად. სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებიდან წამოსული ტვირთი, სპარსეთის ყურისა და ირან-აზერბაიჯან-რუსეთის გავლით, ევროპაში შევა. ეს მარშრუტი სხვებთან შედარებით გაცილებით იაფია, ამასთანავე, ნაკლებ დროში განსახორციელებელი. პირველ ეტაპზე გამტარიანობა — 1,4 მილიონი მგზავრი და 5-7 მილიონი ტონა ტვირთი იქნება წლიურად. პერსპექტივაში კი — 15-20 მილიონი ტონა.

ირანი არა მარტო აზერბაიჯანის მიმართულებით აქტიურობს, არამედ სომხეთის მიმართულებითაც. სომხეთ-ირანის რკინიგზის ერთმანეთთან შეერთება აქაც აქტუალურია. აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის აქტიურად მუშაობს სომხეთის პრეზიდენტი სარგსიანი, რომელიც არაერთხელ ელაპარაკა პროექტთან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს. როგორც წყარო იუწყება, რუსეთიც მიიღებს მონაწილეობას პროექტის დაფინანსებაში.

ასე რომ, ირანი ორი მიმართულებით ჭრის გზას — რუსეთ-ევროპისკენ. თუ პირველ ვარიანტში საქართველო არ მოიაზრება, მეორე (სომხურ) ვარიანტში საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობა გათვალისწინებული იქნება — სპარსეთის ყურე-ირანი-სომხეთი-საქართველო-შავი ზღვა-ევროპა. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოსთვის გაცილებით მომგებიანი იქნება აფხაზეთის და რუსეთის რკინიგზასთან მიერთება, მაგრამ, პოლიტიკური თვალთახედვიდან გამომდინარე, ქართული მხარე უარზეა თბილის-სოხუმის რკინიგზის შეერთებისა. დროთა ვითარებაში, ალბათ, ეს საკითხიც გადაიჭრება, მაგრამ დღეს, ოფიციალური თბილისის სიჯიუტით პროექტი ჩიხშია შესული.

ქართული მხარის ნეგატიური დამოკიდებულების გარდა, არც ამერიკელებს სურთ პროექტის სინამდვილედ გადაქცევა, ვინაიდან ის რუსეთს მისცემს საშუალებას რკინიგზით დაუკავშირდეს მოკავშირე სომხეთს, ირანს და სპარსეთის ყურეში გავიდეს. მაგრამ რუსეთი აზერბაიჯანის პროექტითაც რომ გადის სპარსეთის ყურეში?!

რუსეთისთვის, სპარსეთის ყურეში გასვლა საუკუნოვანი ოცნებაა, რომელიც ვერა და ვერ აქცია რეალობად, თუმცა, როგორც ჩანს, ამ ოცნების ცხოვრებაში განხორციელების ნიშნები არსებობს. აპრილის პირველ დეკადაში სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრის დროს, სტუდენტთა მიერ დასმულ კითხვას — გრანდიოზულ პროექტთან დაკავშირებით, რუსეთში, ირანის ელჩმა მეჰდი სანაიმ ასე უპასუხა: „ეს საკითხი განხილვის პროცესშია“.

საქმე ეხება კასპიის ზღვის არხით დაკავშირება სპარსეთის ყურესთან. კასპიის ზღვა მსოფლიოს ყველაზე დიდი ტბაა. მისი სანაპირო ზოლი 7000 კილომეტრია და გადის ირანის, ყაზახეთის, თურქმენეთის, აზერბაიჯანის და რუსეთის სანაპირო ზოლზე. ირანის პრეზიდენტმა რუჰანიმ გადაწყვიტა, თაროდან ჩამოიღოს დამტვერილი პროექტი არხის მშენებლობასთან დაკავშირებით და ოცნება რეალობად აქციოს. მშენებლობისთვის სავარაუდო თანხაც სახელდება 10 მილიარდი დოლარი. არხის მშენებლობის დამთავრების დროდ — 2030 წელი სახელდება.

არხის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მოსალოდნელია კასპიის ზღვის ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის ერთიორად გაზრდა. გარდა ამისა, რუსეთის სამხედრო გემებს შეეძლებათ ინდოეთის ოკეანეში სხვა მიმართულებით,




თურქეთის სრუტეების გვერდის ავლით გასვლა, რითაც გაუწევენ კონკურენციას აშშ-ის სამხედრო გემებს, რომლებიც თავისუფლად დაცურავენ სპარსეთის ყურეში.

ისტორიის მიხედვით, „კასპი-სპარსეთის ყურის არხის“ მშენებლობის პროექტის ავტორები რუსი ინჟინრები იყვნენ, რომლებმაც 1889-1892 წლებში შეიმუშავეს პროექტი, რომლის მიხედვით, რუსეთს უნდა გასჩენოდა ინდოეთის ოკეანეში გასვლის უმოკლესი შანსი. მანამდე რუსეთი შეეცადა, დაერწმუნებინა ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და ავსტრია-უნგრეთი ბოსფორსა და დარდანელზე რუსული კონტროლის დაწესებაში, ანუ სანაპირო ზოლის გაყოლებაზე რუსული სამხედრო ბაზების განლაგებაში. და როდესაც მან მტკიცე უარი მიიღო, გადაწყვიტა სხვა გზისთვის მიემართა.

1997 წელს აშშ-მა დააწესა ანტიირანული სანქციები აღნიშნული არხის მშენებლობაზე, რომლის მიხედვით, ყველა უცხოურ კომპანიას, ჩართულს არხის მშენებლობაში, სანქციები დაუწესდა. დღეს აშშ იხილავს თავის მიერ ირანის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების აუცილებლობას და ხშირ შემთხვევაში აუქმებს მათ, თუმცა არხის მნიშვნელობის საწინააღმდეგო სანქციას ძველებურად ტოვებს.

რუსეთ-ირანის პირველი კომისიის სხდომა 1904 წელს გაიმართა, მაგრამ მიზეზთა გამო ვერ შეთანხმდნენ. მოგვიანებით განახლდა კომისიის მუშაობა, მაგრამ პირველმა მსოფლიო ომმა ისევ შეაჩერა ის. გარდა ამისა, თურქეთის ხელისუფლებამ 1924 წელს განაცხადა, რომ ბოსფორი და დარდანელი არასდროს იქნება გამოყენებული საბჭოეთის წინააღმდეგ.

1941 წელს თურქეთმა, სხვადასხვა საბაბით, გაართულა ბოსფორსა და დარდანელში საბჭოთა სამხედრო გემების გასვლა. გარდა ამისა, მან გარკვეულწილად ფაშისტური გერმანიის მხარე დაიჭირა, რამაც აფიქრებინა კრემლს 1942 წელს კასპიის პროექტის გადახედვა. არხის მშენებლობის საკითხი განხილულ იქნა 1943 წელს თეირანის კონფერენციის მსვლელობის ჩარჩოში სტალინისა და ირანის შაჰის რეზა ფეჰლევის მოლაპარაკებისას. მაგრამ ომის შემდგომი პერიოდის ვითარებამ არ მისცა საშუალება მხარეებს განეხორციელებინათ პროექტი. მოგვიანებით, ირანის შაჰის მოსკოვში ვიზიტის დროს, კვლავ შეეხნენ არხის მშენებლობის საკითხს, რომელიც დადებითად შეაფასეს. 1968 წელს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კოსიგინის ირანში ვიზიტის დროს კიდევ ერთხელ განიხილეს პროექტი.

ირან-აშშ-ს შორის აქტიურმა თანამშრომლობამ ნეგატიურად იმოქმედა არხის მშენებლობაზე. აშშ-მა განაცხადა, რომ ეს პროექტი არ შეესატყვისება მის გრძელვადიან ინტერესებს. გარდა ამისა, 1960 წლიდან, თურქეთმა საბჭოთა კავშირს შეუმცირა გადასახადი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში ტვირთების გატანაზე, რამაც თავისთავად იმოქმედა არხის მშენებლობის შეჩერებაზე.

გასული საუკუნის 90-იან წლებში კვლავ განახლდა აღნიშნულ პროექტზე მუშაობა, რომელიც 1999 წელს მოიწონა ორივე მხარემ. არხის სიგრძე — 700 კილომეტრი იქნება და გამოყენებული იქნება ირანში არსებული მდინარეების კალაპოტი, დაახლოებით 450 კმ სიგრძის, რაც იმას ნიშნავს, რომ გასათხრელი მხოლოდ 240 კილომეტრი იქნება.

დღევანდელი გათვლით, მშენებლობა 10 მილიარდ დოლარზე მეტი დაჯდება, რომელიც მთლიანად დაიფარება არხის ექსპლუატაციის დაწყებიდან, მეხუთე წელს. არხი ირანს მოუტანს 1,4-1,7 მილიარდ მოგებას — ყოველწლიურად, რუსეთს — 1,2-1,4 მილიარდს.

ამ მართლაცდა საუკუნის მშენებლობას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს — აშშ-ის, ევროკავშირის, თურქეთის სახით, რაც ძირითადად გამოწვეულია სამხედრო-ეკონომიკური თვალსაზრისით. როგორც ზემოთ აღვნიშნე, რუსეთს მიეცემა საშუალება უკონტროლოდ გავიდეს ინდოეთის ოკეანეში. გარდა ამისა, თავის ტერიტორიაზე გაატაროს აზიიდან-ევროპაში მიმავალი ტვირთები, რასაც ნაკლები დრო და ხარჯები დასჭირდებათ. არხის გახსნა გააფერმკრთალებს ბოსფორისა და დარდანელის მარშრუტს.

ბაქოში რუსეთის, ირანის და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დროს ყურადღება გამახვილდა არხის მშენებლობის დაწყებაზე. როგორც ჩანს, მშენებლობას წინ არაფერი დაუდგება და თუ ის განხორციელდა, სხვა შესაძლებლობები გაჩნდება რეგიონში.

ღირს თუ არა ზემომოყვანილ პროექტებზე ყურადღების აქცენტირება? უდავოდ ღირს, ვინაიდან საქართველოსაც შეუძლია გამონახოს თავისი ნიშა აღნიშნულ პროექტებში, ცხადია თუ დაძლევს პოლიტიკურ ბუტიაობას და ამერიკულ დიქტატს.

„კასპიის ზღვა-სპარსეთის ყურე“ — პროექტი დიდი შესაძლებლობების მომტანია კასპიის ზღვის ქვეყნებისთვის, უპირველესად, ეკონომიკური ზრდის საქმეში. გარდა ამისა, ის დააკავშირებს შავ ზღვას სპარსეთის ყურესთან, შესაბამისად, ინდოეთის ოკეანესთან. რუსეთის მდინარეების წყალობით კასპიისა და შავი ზღვები ისედაც უკავშირდება ერთმანეთს სამდინარო გემებით, მაგრამ არხის გაჭრის შემდეგ უფრო დიდი ინტერესი გაჩნდება. მგზავრთა გადაყვანის თვალსაზრისითაც პროექტი საინტერესოა.

აღნიშნული პოზიტიური მომენტებიდან გამომდინარე, პროექტი კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარი იქნება ისე, როგორც პანამისა და სუეცის არხები.



ცხადია, პროექტი დიდ პოლიტიკურ და ეკოლოგიურ წინააღმდეგობას წააწყდება, მაგრამ უნდა ვიმედოვნოთ, რომ ბარიერები გადაილახება.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

# სხვების ცოდვებით წმინდანი ვერ გახდები

**შარშან ნოემბერში „ლიტერატურნაია გაზეტამ“ გამოაქვეყნა სტატია „სტალინი და ლიბერალები“ (№44-45), რომელშიც როსტისლავ მედინსკი არცთუ უსაფუძვლოდ აცხადებს სტალინის გათავხედებული კრიტიკის ცალმხრივობისა და ზიანის მომტანობის შესახებ. ტერორის სისტემას მიაწერენ პერსონალურად იოსებ ბესარიონის ძეს. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, გამარჯვებას მეორე მსოფლიო ომში და ა.შ. ავტორის შეფასებით, სულაც ვერ ხედავენ.**

როსტისლავ მედინსკი გამოხატავს ჩვენს ქვეყანაში პოზიციას ბევრი ადამიანისა, რომლებსაც თავად ცხოვრება აიძულებს, შეადაროს ეპოქა, რომლის სიმბოლოც სტალინია, ეპოქას, რომელსაც დასაწყისი გორბაჩოვმა მისცა. თავად ავტორი მხარს უჭერს სწორედ ამ პერსონების საქმიანობის შედეგების შედარებას: „გორბაჩოვის ძალისხმევის წყალობით ჩვენ დავკარგეთ დიდი ქვეყანა – საბჭოთა კავშირი. ეს იყო საზღაური ფეხქვეშ გათელილი ისტორიისათვის, სტალინის დიდების შესახებ წართმეული ხსოვნისათვის. ეს თეზისი უკიდურესად საინტერესოდ მიგვაჩნია, და ჩვენ მას კვლავ დავუბრუნდებით.

უკვე წელს სტალინის პერსონის განხილვამ მიიღო დამატებით სტიმული XX ყრილობის 60 წელთან და ნ.ს. ხრუშჩოვის მოხსენებასთან დაკავშირებით. მაგრამ კვლავ, როგორც წესია, ყველა დავა უკავშირდებოდა ბანალურ „ხრუშჩოვი მართალია, სტალინი – ტირანია“ ანდა „ხრუშჩოვი არ არის მართალი, სტალინი – გენიოსია“. დღეს, XXI საუკუნეში რატომღაც სულაც არ ფიქრობენ იმაზე, თუ, კერძოდ, როგორი გავლენა იქონია XX ყრილობამ ჩვენზე, ვინც ამჟამინდელ რუსეთში ვცხოვრობთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა შედეგები გამოიწვია ჩვენი მსოფლგაგებისთვის სახელგანთქმულმა მოხსენებამ.

რა შედეგები იქონია მან გარდაცვლილი სტალინისათვის – გასაგებია: ძეგლების მოხსნა, მავზოლეუმიდან გამოტანა, მივიწყება სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურაში და ა.შ. მაგრამ ჩვენი თანამედროვე მსოფლმხედველობისათვის – რა შედეგები აქვს ხრუშჩოვის მოხსენებას? უკიდურესად გასაოცარია, რომ ეს საკითხი, პრინციპულად, არ აინტერესებს სტალინის ან ხრუშჩოვის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს. მაშინ, როდესაც სწორედ ისტორიული შედეგების საკითხი არის საკვანძო ნებისმიერ სამეცნიერო (და არა მხოლოდ სამეცნიერო) დისკურსში, ჩვენს შემთხვევაში კი – მით უმეტეს!

ჩვენი აზრით, ნ.ს. ხრუშჩოვის მოხსენებამ „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ“ სკკპ XX ყრილობაზე ჩვენი ისტორიული მეხსიერებისათვის დააყენა რამდენიმე საკმაოდ მზაკვრული ისტორიული ხაფანგი, რომლებშიც ყველა ჩვენგანი მოხვდა და საიდანაც დღემდე ვერ შევძელით გამოსვლა.

პირველი ხაფანგი იმალება მოხსენების თავად სახელწოდებასა და მის მთავარ ხაზში: „სტალინის გარდაცვალების შემდეგ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მკაცრად და თანმიმდევრულად დაიწყო მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის მიუღებელი ერთი პიროვნების განდიდება, მისი გადაქცევა რაღაც ზეადამიანურად, რომელსაც აქვს ღვთის მსგავსად ზებუნებრივი თვისებები“. როგორც ვხედავთ, იგმობოდა მხოლოდ ერთი კონკრეტული პიროვნების – სტალინის – კულტი. მხოლოდ მას დასდეს ბრალი პოლიტიკურ რეპრესიებსა და ქვეყნისა და არმიის მძიმე მდგომარეობაში ომის პირველ წლებში.

მაგრამ აქ, ჩვენი შეხედულებით, დროულია კლასიკური შეკითხვა: „ვინ არიან მოსამართლეები?“

ხრუშჩოვის დროს რამდენიმე წლის განმავლობაში დაიხვრიტა 150 ათასი კაცი – მხოლოდ პარტიელი!

სხვათა შორის, რატომ მოხდა, რომ მოხსენების შემდეგ განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიების რეაბილიტაცია არ შეეხო, ვთქვათ, ბუხარინსა და რიკოვს? პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ 1937 წელს სტალინი აყენებდა წინადადებას აღნიშნულ პირთა გასახლების შესახებ, მაგრამ ხრუშჩოვმა მიაღწია მათს შემდგომ დახვრეტას სასამართლოს მეშვეობით. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ხრუშჩოვმა თავგამოდებით იზრუნა არქივებიდან ამოღებისა და განადგურებისათვის იმ ნებისმიერი „დასახვრეტი“ დოკუმენტებისა, რომლებზეც მისი ხელმოწერა იყო. მაგრამ შეუძლებელი იყო იმ დოკუმენტების განადგურება, რომლებიც აშკარავებდნენ მის საქმიანობას ომის წლებში. სამხედრო არქივები ტრადიციულად – ყველაზე დაფარულია, ფალსიფიკატორებისთვისაც კი .

როდესაც სტალინს, როგორც სამხედრო ხელმძღვანელს, ბრალს სდებდა უნიჭობასა და მშიშრობაში, ხრუშჩოვი თავმდაბლურად დუმდა თავის დანაშაულზე (როგორც სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებებისა და მთელი რიგი ფრონტების სამხედრო საბჭოების წევრისა) 1941 წელს კიევთან და 1942 წელს ხარკოვთან წითელი არმიის კატასტროფული ალყის გამო. იმის შესახებ, რომ 1942 წლის მაისში გოლიკოვთან ერთად მისი დანაშაულებრივი გადაწყვეტილების გამო შეტევის შესახებ სამხრეთის ფრონტი გაირღვა, დონბასი აიღეს გერმანელებმა, დაიწყო სამარცხვინო უკანდახევა სტალინგრადისაკენ. დაიკარგა იმდენივე დივიზია, რამდენიც 1941 წლის ზაფხულში...

რას აკეთებდნენ გამომაააშკარავებელი ყრილობის სხვა მონაწილეები?

ვთქვათ, კაგანოვიჩი, რომელიც სტალინს უწოდებდა მხოლოდ „მეპატრონეს“. მაშინ თავისი შრომითი „რეპრესიული“ საქმიანობა „პურის დამზადებასთან“ ბრძოლით დაიწყო, რის შედეგადაც 1932 წლის რამდენიმე თვეში ჩრდილოეთ კავკასიაში შიმშილისგან რამდენიმე ასეული ადამიანი დაიღუპა, 16 ათასზე მეტი ადამიანი კი იქნა რეპრესირებული. შემდეგ კაგანოვიჩი გადაერთო ისეთ ზომაზე, როგორიცაა „გამოსახლება“, და მხოლოდ სამი სტანიციდან (პოლტავის, მედვედკოვსკისა და ურუპსისა) იქ მცხოვრები 47500 კაციდან გამოასახლეს 45600. როდესაც 1937 წელს აწყობდა ბრძოლას მავნებლებთან, კაგანოვიჩმა პირადად მოაწერა ხელი სიას 19 000 კაცის დახვრეტის შესახებ...

ეს სტალინს არ მოუწყვია სამეფო ოჯახის მკვლელობა. ის არ ძირავდა კარჭაპებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის დანებებული ოფიცრებით. ბოლოს და ბოლოს, სტალინს არ მოუწყვია ბრესტის ზავის ინიციირება. მაშ რატომაა, რომ იაკობ სვერდლოვი და როზალია ზემლიაჩკა პატივით დაკრძალეს, როგორც გმირები, სტალინი კი ასევე დაკრძალულია, თუმცა ორჯერ, თანაც მეორედ – „გამოაშკარავების“ შემდეგ? და როგორ მოხდა, რომ სტალინის პიროვნების კულტის გამოაშკარავებამ დაატრიალა ლენინის პიროვნების კულტი, და ისე, რომ მისი ძეგლებით გადატენილია მთელი რუსეთი?!

ბოლშევიკების მთელი სისტემა, მთელი მათი სისხლიანი რეჟიმი სტალინით არ დაწყებულა. ის მხოლოდ მისი ნაწილი იყო. და აქ იმალება ხრუშჩოვის მოხსენების პირველი ხაფანგი: დამნაშავეა არა რეჟიმი, არა ხელისუფლებისა და დათრგუნვის რეჟიმი, არა იმ სისტემის შემქმნელები, რომლებმაც თავის დროზე დაანგრიეს რუსეთის იმპერია, არამედ ერთი ადამიანი – იოსებ სტალინი. სწორედ ის, მოხსენების ავტორების ჩანაფიქრით, იყო საბჭოთა ხელისუფლების ბოროტი გენია, მაგრამ სულაც არა თავად ხელისუფლება.



სტალინის, როგორც ყველა უბედურებათა წყაროს, გამოაშკარავების შედეგი ლოგიკურად გახდა, მოხსენების ავტორებისა და მათი მიმდევრების თვალსაზრისით (ჩვენს დღემდე) დასკვნა იმის შესახებ, რომ ყველაფერი, რასაც სტალინი აკეთებდა, იყო არასწორი (დანაშაულებრივი, გაუნათლებელი, არაპროფესიული და ა.შ.). „ჩვენ ქვეყანაში სოციალიზმის აგებიდან დაწყებული და დიდ სამამულო ომში მონაწილეობამდე: „სტალინი ძალიან შორს იყო იმ რეალური ვითარების გაგებიდან, რაც ფრონტებზე იქმნებოდა“.

ეს ხრუშჩოვის მოხსენების მეორე ხაფანგია. მასში რომ მოვხვდებით, ჩვენ უნდა დავგმოთ ყველაფერი, რაც სტალინის ხელმძღვანელობით და მისი უშუალო მონაწილეობით ხდებოდა: 30-იან წლებში განხორციელებული ინდუსტრიალიზაცია; დიპლომატიური ძალისხმევები ევროპული უშიშროების განმტკიცებისთვის 30-იან წლებში, იაპონელი მილიტარისტების განადგურება ხალკინ-გოლში; ხელშეკრულების დადება გერმანიასთან თავდაუსხმელობის შესახებ; თავდაცვის ორგანიზაცია ომის პირველ დღეებსა და თვეებში, საწარმოებისა და მრეწველობის ევაკუაცია; კონტრშეტევა მოსკოვთან; ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა; გერმანიის კაპიტულაცია, ქვეყნის აღდგენა; ატომური ბომბის შექმნა, პირობები კოსმოსში გასვლისთვის და ა.შ. და ა.შ.

ავიღოთ თუნდაც ერთი მოვლენა, უცილობელი ფაქტი: 1941 წლის შემოდგომაზე სტალინი მოსკოვიდან არ წასულა.ის დედაქალაქში დარჩა. დედაქალაქი გადაარჩინეს. მაგრამ რა იქნებოდა, მას კრიტიკულ მომენტში რომ დაეტოვებინა მოსკოვი და წასულიყო კუიბიშევში?! ალბათ, იგივე ამბავი რაც მოხდა, როდესაც ნიკოლოზ II-მ დატოვა ცარსკოე სელო 1917 წელს. ხრუშჩოვმა დატოვა მოსკოვი 1964 წელს, გორბაჩოვმა კი – 1991 წელს. დედაქალაქი დაკარგავდა ხელისუფლებას, ჩვენ ყველანი კი – ქვეყანას. სადაა გარანტია, რომ ზოგიერთი თვითმარქვია არ გამოაცხადებდა მოსკოვში „სახალხო მთავრობას“, რომელიც დაამყარებდა „სამართლიან მშვიდობას“ გერმანიის მთავრობასთან ბრესტის ზავის გამოცდილებით?! მოსკოვი მთელი ქვეყნისთვის ხომ ხელისუფლების წყარო იყო.

მაშ ასე, არა სისტემამ, მოხსენების თანახმად, არამედ პირადად სტალინმა დაამყარა ხელისუფლების სისხლიანი რეჟიმი, და ყველაფერი, რასაც სტალინი აკეთებდა, ან აკეთებდნენ მის დროს, იყო დანაშაულებრივი. და აქ ჩვენ მესამე ხაფანგში ვხვდებით: რახან ყველაფერი, რასაც სტალინი აკეთებდა, ანდა აკეთებდნენ მის დროს, ან მისი ხელმძღვანელობით, იყო არასწორი და ცუდი, ის ყველაფერი კი, რასაც გააკეთებენ მისი პიროვნებას კულტისა და დანაშაულებრივი მოქმედებების გამომააშკარავებლები, იქნება კარგი და სწორი.

და წავიდა! სტალინის ძეგლების მასობრივი განადგურება, ქუჩებისათვის, მოედნებისთვის, დაწესებულებებისა და ხომალდებისთვის სახელების მასობრივი შეცვლის, სტალინის „საყვარელი ადამიანების“ შერისხვის დაწყების (კ. სიმონოვის, გენიალური ლექსის „მელოდეს“ ავტორის მსგავსად) შესახებ წერა ზედმეტია. უმჯობესია, გავიხსენოთ არმიის მასობრივი შემცირება, რაც ეხამება იმას, რომ შეიძლება ვუწოდოთ „განიარაღება“, – საბჭოთა კავშირის მომავალი საოკეანო ფლოტის პირველი ფრაგმენტები მზადყოფნის 80 პროცენტის სტადიაში დაინგრა და ჯართად აქციეს. სარაკეტო ხელისუფლებას ავიამზიდები არ სჭირდებაო. გავიხსენოთ უგუნური „სიმინდომანია“, რომელიც აგებული იყო მთლიანად მოჩვენებითობასა და მიწერებზე. და შემოქმედებითი ინტელიგენციის დარბევა მანეჟში. და უპრეცედენტო ანტირელიგიური კამპანია, როდესაც კვლავ დაიწყეს ტაძრების დანგრევა და მონასტრების დახურვა.

ნუ დავივიწყებთ საგარეო პოლიტიკასაც (აქ ხრუშჩოვის „ანტისტალინური“ კურსი გაჩაღდა მთელი ძალით) ბერლინის კედლის აგებით (სტალინი ასეთ ვულგარობამდე არ ეშვებოდა); 1956 წელს უნგრეთის აჯანყების სისხლიანი ჩახშობა (რომლის წინაც ხრუშჩოვმა ბანაკებიდან გაათავისუფლა და სამშობლოში გაუშვა რამდენიმე ათასი უნგრელი ესესელი); არაბეთ-ისრაელის დაპირისპირების ახლო-აღმოსავლეთის კვანძში შეძრომა; კარიბის კრიზისი, რამაც ლამის ბირთვულ ომთან არ მიგვიყვანა; ჩინეთთან ურთიერთობის გაყინვა უჩინარ ცივ ომამდე და, რასაკვირველია, გაეროში ფეხსაცმლის დაუვიწყარი ბრახუნი კათედრაზე.

და ჩვენ აქ მივედით ყველაზე მთავართან. სწორედ ეს ხაფანგი არის პოსტულატი იმის შესახებ, რომ – სტალინის კრიტიკამ და გამოაშკარავებამ მოგვცა ყველაფერში და ყოველთვის საგარეო-პოლიტიკური წარმატება – რამაც მიგვიყვანა იმასთან, რაც დღეს ჩვენ გვაქვს.

ზევით მოყვანილი იყო როსტისლავ მედინსკის ციტატა გორბაჩოვის შესახებ, რომელმაც დიდი სახელმწიფო დაანგრია. მაშ რით დაიწყო გორბაჩოვის მმართველობა? სტალინიზმის საშინელებათა (როგორ დავივიწყოთ ანტისტალინური „ოგონიკის“ და „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ მილიონობით ტირაჟები?) გამოაშკარავებით, მისი საქმიანობის (ეგრეთ წოდებული მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი, უმალვე რომ აიტაცეს ბალტიისპირელმა ნაციონალისტებმა) დაგმობით, საკუთარი კაპრიზების ისტორიული რჩეულობისა და უცოდველობის შეგრძნებით საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. ხრუშჩოვის მოხსენების სამივე ხაფანგი წმინდა სახით. გორბაჩოვი სამართლიანად აკუთვნებს თავის თავს XX ყრილობის მემკვიდრეებს, „დათბობის“ ნაშიერებს და მისი საქმიანობის შედეგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა რამ, თუ არა კატასტროფა სახელმწიფოსთვის და საზოგადოებისთვის.

ხრუშჩოვის მოხსენება არ შეიცავდა ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტება, როგორც ცნობილია, იწყება თვითანალიზით, ან, როგორც მორწმუნეები ამბობენ, მონანიებით. მოხსენებამ საზოგადოებას აჰკიდა გაუკუღმართებული ჭეშმარიტება, რომელიც ხელ-ფეხს უხსნიდა თავის აპოლოგეტს და ხსნიდა მათგან ნებისმიერ პასუხისმგებლობას. ასეთი იყო თავად ხრუშჩოვი, ასეთივე იყო მისი ერთგული მიმდევარი გორბაჩოვი. არადა ხომ არსებობს ანდაზა, რომ „სხვისი ცოდვებით წმინდა ვერ გახდები“...

ჩვენ საზოგადოებას, ცხადია, რცხვენია თავისი წარსულის, ამ დროს რცხვენია კონკრეტულად ისტორიული პერსონაჟისა, არ ცდილობს, გაისიგრძეგანოს, მაინც რა მოხდა 1917 წელს – და ეს ხრუშჩოვის მოხსენების ერთ-ერთი შედეგია.

**დღეს მოდურია იყო სტალინისტი და ანტისტალინისტი. და ესაა ჩვენი ისტორიული შემეცნების გაორმაგების ტრაგედია. ჩვენ დღემდე გამოვდივართ იმ ცრუ ჭეშმარიტებიდან, რაც გაჟღერდა ხრუშჩოვის მიერ და მის მიხედვით ვუმზერთ ჩვენს ისტორიას. და ისინი, ვინც ცდილობს, გამოიყენოს პრაქტიკაში სახელგანთქმული მოხსენების დასკვნები (ხაფანგები) – ხრუშჩოვი და გორბაჩოვი – ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდებიან.**

**და საქმე აქ სულაც არაა სტალინში. ის უკვე დიდი ხანია, ჩვენთან აღარაა.**

**პიოტრ ალექსანდროვ-დერკაჩენკო**

Литературная газета

ისტორიის ნამცვრევები

# მტკვარგაღმა გამსხლტარი ბედი

**1587 წელს ირანში დიდი სახელმწიფო მოღვაწე და მტარვალი — შაჰ-აბასი გამეფდა.**

მას საშინლად სძულდა ამიერკავკასიის ქრისტიანული მოსახლეობა. მისმა ომებმა უდიდესი განადგურება და გაჩანაგება მოუტანა საქართველოს. შაჰს მიზნად ჰქონდა დასახული ქართლ-კახეთის სამეფოების აღგვა პირისაგან მიწისა და მოსახლეობის მთლიანად ამოწყვეტა.

მთელი მისი პოლიტიკა ვერაგობითა და სისხლის გაუმაძღრობით იყო გაჯერებული. გამეფებისთანავე სიკვდილით დასაჯა გამოჩენილი სარდალი მურშიდყული ხანი, ვისი წყალობითაც ავიდა ტახტზე. შეთქმულების ბრალდებით მოაკვლევინა თავისი ვაჟი სეფი-მირზა. ეჭვიანობის ნიადაგზე თვალები დათხარა თავის ორ ვაჟს. ერთ-ერთმა მათგანმა ხუდაბანდამ მტარვალ მამას სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ საკუთარი ხელით დაახრჩო თავისი პატარა ქალიშვილი ფატიმა, რომელიც შაჰს ძალიან უყვარდა, შემდეგ კი საწამლავი დალია.

გადმოგვცემენ, რომ შაჰს კარგად სცოდნია ქართული ენა (მისი ბებია შალიკაშვილის ქალი იყო).

შაჰ-აბას I-ის მრავალრიცხოვან ცოლებში ოთხი ქართველი ქალი ერია: გამუსულმანებულ ანდუყაფარ ამილახორის და თამარი, სიმონ მეფის და ფახრიმჯან ბეგუმი, თეიმურაზ მეფის და ელენე და ლუარსაბ მეფის და ლელა სპარსულად ფათმა სულთან ბეგუმი. ცოლისძმის — დატყვევებული ლუარსაბ მეფის მშვილდის საბლით დახრჩობის შემდეგ შაჰი ლელას გაეყარა და სარდალ ფეიქარ-ხანს მისცა ცოლად.

გიორგი სააკაძე თავის ცოლისძმას და თანამებრძოლს ზურაბ არაგვის ერისთავს, რათა ის 1625 წლის აჯანყებაში მონაწილეობაზე დაეყოლიებინა, შეჰპირდა



შაჰ-აბას I

— ლელა ბატონიშვილს მოგგვრი თანამეცხედრედ სპარსეთში მძევლად დატოვებული ახლადშეუღლებული ცოლის ნაცვლადო (მარტყოფის აჯანყების წინ სამშობლოში წამოსულ გიორგი სააკაძეს სპარსეთში მძევლად ვაჟი პაატა, ზურაბ ერისთავს კი ცოლი დაატოვებინეს).

პაატას ბედი საყოველთაოდ ცნობილია: წამებით მოკლეს. 1625 წლის აპრილის პირველ რიცხვებში, როგორც კი სპარსეთში მარტყოფის ბრძოლაში სპარსეთის ჯარის განადგურების ამბავმა მიაღწია (თითქმის მთლიანად ამოწყვიტეს შაჰის არმია), მას თავი მოჰკვეთეს და მამას გამოუგზავნეს, ტანი კი ხევში გადააგდეს ყვავ-ყორნების საჯიჯგნად იმ დროს ისპაჰანში მყოფმა კათოლიკე მისიონერებმა მიაბარეს მიწას. შემდეგ გიორგი სააკაძემ მოაძებნინა სამშობლოსთვის შეწირული შვილის საფლავი და საქართველოში ჩამოასვენა. დაასაფლავეს სააკაძეთა საგვარეულო ძვალშესალაგში — ერთაწმინდის ეკლესიაში.

რაც შეეხება ზურაბ ერისთავის მეუღლეს: ისპაჰანში მარტოდ შთენილი ქალი გაამაჰმადიანეს და შაჰის ცოლებს მიუჩინეს მხევლად. შაჰ-აბასისა და ზურაბის სიკვდილის შემდეგ ის საქართველოში დაბრუნებულა და მცხეთის დედათა მონასტერში შემდგარა მონაზვნად, სადაც გარდაიცვალა 48 წლის ასაკში.

ბაგრატიონებთან დამოყვრების მოწადინე ზურაბ ერისთავი კარგა ხანს ელოლიავებოდა შაჰის ცოლყოფილი ლელა ბატონიშვილის შერთვის იმედს, ხმალშემართული ფეხდაფეხ მისდევდა ქალის იმჟამინდელ ქმარს ფეიქარ-ხანს. ბოლოს მაშინ წამოეწია, როცა ოტებოლი მტკვარზე გადადიოდა. ფიცხელი ბრძოლა გაიმართა, მაგრამ ფეიქარ-ხანმა ცოლით — ლელა ბატონიშვილით და მცირე ამალით მტკვარზე გადასვლა მოახერხა და ზურაბს საბოლოოდ დაუსხლტდა ხელიდან...

თუმცა, ზურაბმა ოცნება მაინც აიხდინა: კახთა მეფის თეიმურაზ I-ის ასული ქეთევანი შეირთო, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ არჩილ მეფეს გაჰყვა ცოლად.

**მოამზადა**
**სანდრო ალექსიძემ**

# დედამიწის ზურგზე



## NYT: „ალ-ყაიდა“ პაკისტანიდან სირიაში გადადის, რათა იქ ემირატი შექმნას

ევროპისა და ამერიკის დაზვერვის სამსახურები იტყობინებიან, რომ „ალ-ყაიდას“ ტერორისტები აპირებენ სირიაში შექმნან შტაბ-ბინა ორგანიზაცია „ფრონტალ-ნუსრას“ საფუძველზე. ქვეყანაში პაკისტანიდან საიდუმლოდ გაემგზავრა ათზე მეტი ყველაზე გამოცდილი „ვეტერანი“ დაჯგუფებიდან.

## ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ მიხედავს ქმარს აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებზე გამარჯვების შემთხვევაში



ჰილარი კლინტონმა, რომელიც რჩება ყველაზე საალბათო კანდიდატად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატიული პარტიიდან, ისაუბრა იმის შესახებ, რომ არჩევნებზე გამარჯვების შემთხვევაში განზრახული აქვს, გამოითხოვოს თავისი მეუღლე, ექს-პრეზიდენტი ბილ კლინტონი პენსიიდან, რათა დაავალოს მას იმ შტატებისა და რეგიონების ეკონომიკური განვითარება, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ რეცესიებისგან.

## ორი ათეული დელფინი-გრინდი დაიღუპა, როდესაც გამოირიყნენ ნაპირზე მექსიკაში




ერთბაშად 27 გრინდი გამოირიყა თხელ ნაპირზე ქვედა კალიფორნიის შტატში. წყლის ელვისებურმა უკან დახევამ არ მისცა საშუალება სამხედრო მეზღვაურებსა და სპეციალისტებს, გადაერჩინათ ისინი. ევაკუირება მოახდინეს მხოლოდ 2 მოზრდილი ცხოველისა და ერთი პატარისა. ზოგიერთი მოზრდილი გრინდი, რომლებიც გაიყვანეს ღრმა წყალში, დაბრუნდა დასაღუპად განწირულ თანამოძმეებთან.

## ჟურნალისტმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ გამოძვრა თავის კოლეგებთან ერთად სროლიდან დონბასში

ტელეარხ „როსიას“ გადამღები ჯგუფი 40 წუთის განმავლობაში იმყოფებოდა სროლის ქვეშ უკრაინელი ძალოვნების მხრიდან. ამჟამად ჟურნალისტები უსაფრთხოდ არიან. დონეცკის სახალხო რესპუბლიკაში ამ დროს კვლავ აცხადებენ ვითარების გამწვავების შესახებ რეგიონში.



## დანაშაული მცირდება, კიბერდანაშაული კი იზრდება

შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე აცხადებს, რომ დანაშაულის დრამატული ზრდა არ მომხდარა და კრიმინოგენურ ვითარებასთან დაკავშირებით კრიზისი არ არსებობს. მისივე თქმით, კიბერუსაფრთხოების მიმართულებით შსს უახლოეს მომავალში ახალ კამპანიას დაიწყებს.

**„ყველა მნიშვნელოვანი დანაშაული, რომელსაც აქვს თუნდაც პრეცედენტული ძალა — არის დროულად გახსნილი. მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ პოლიცია ეფექტურად მუშაობს. ბოლო სამი წლის განმავლობაში დინამიკას თუ გადავხედავთ, არის დანაშაულის შემცირების ტენდენცია. გაზრდილია მხოლოდ კიბერდანაშაული, რაც კიბერუსაფრთხოების მსოფლიო ტენდენციებს და ელექტრონული სისტემების გაფართოებულ მოხმარებას უკავშირდება“,** — განაცხადა თალაკვაძემ.

## მილიონნახევრიანი სკანერი საბაჟოზე

საქართველოსა და სომხეთის საზღვარზე — სადახლოს საბაჟო-გამშვებ პუნქტზე 1.5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სკანერი დამონტაჟდა, რომელიც სატვირთო მანქანების შემოწმებისთვისაა განკუთვნილი. ქართული მხარისთვის სკანერის გადაცემა განხორციელდება ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინიციატივის ფარგლებში, რომლის მიზანია საზღვრის ერთიანი მართვის პრინციპების დანერგვა სამხრეთ კავკასიაში.

დღეს სადახლოს საბაჟო-გამშვებ პუნქტს ეწვევიან საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი იანოშ ჰერმანი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოქმედი ხელმძღვანელი საქართველოში შომბი შარპი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, შემოსავლების სამსახურის უფროსი გიორგი თაბუაშვილი. სტუმრები შეხვდებიან შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს და გაეცნობიან ახალი სკანერის მუშაობის სპეციფიკას.

## „დაცარიელდა სიყვარულის დარბაზი... მართლაც, დეფიციტია სიყვარულისა“



**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მე-10 მსოფლიო საოჯახო კონგრესზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა და ოჯახის მნიშვნელობაზე ისაუბრა:**

**„როგორც ამბობს ერთ-ერთი ინდური ლექსი — დაცარიელდა სიყვარულის დარბაზი. მართლაც, დეფიციტია სიყვარულისა და ოჯახმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა, რომელიც მას უნდა ჰქონდეს. ოჯახი არის ღვთის მიერ დადგენილი ინსტიტუტი და ოჯახი არის ფუძე კაცობრიობის არსებობისა, სახელმწიფოს კეთილდღეობისა და სიმტკიცისა. ოჯახი ეს არ არის შემთხვევითი შეხვედრა მამაკაცისა და ქალისა, ეს არის კანონიერი კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის და ამას ძალიან დიდი ყურადღება სჭირდება. ეს არ უნდა დაკარგოს კაცობრიობამ“, — ბრძანა უწმინდესმა.**

## განახლებული უბისის მონასტერი

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ილია დარჩიაშვილმა და მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ უბისის მონასტერთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისა და მონასტრის სარესტავრაციო სამუშაოები დაათვალიერეს. აღნიშნულ სამუშაოებს მუნიციპალური განვითარების ფონდი, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით ახორციელებს.**



**პროექტის მიზანი საქართველოში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნების ხელშეწყობაა. უწყების ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში რესტავრაცია ჩაუტარდება უბისის მონასტერს, ასევე, მოეწყობა საინფორმაციო ცენტრი, ავტოსადგომი, მონასტრამდე მისასვლელი გზა და სანიტარიული წერტილები. პროექტის ღირებულება 1 422 609 ლარია.**

## აფხაზეთის საეკლესიო კრების წევრები ავტოკეფალიას ითხოვენ

**ოკუპირებულ აფხაზეთში საეკლესიო კრების წევრებმა მსოფლიო პატრიარქს, ბართოლომეოსს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიიდან გამოყოფის და ავტოკაფელიის შექმნის თხოვნით მიმართეს. სააგენტო TACC-ის ინფორმაციით, ახალი ათონის მონასტერში გაიმართა კრება, რომელშიც 1043-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მათი განცხადებით, „აფხაზეთის მოსახლეობა ქართველი იერარქების და საქართველოს საპატრიარქოს მხარდაჭერას არასოდეს გრძნობდა“.**

**მიწვევის მიუხედავად, სოხუმისა და ბიჭვინთის ეპარქიების წარმომადგენლები კრებაში არ მონაწილეობდნენ.**

ძიუდო

# ოთხი ჯილდო და გუნდური პირველი



**ორი „ოქრო“, ამდენივე „ბრინჯაო“ და ვაჟებში გუნდური პირველი ადგილი – ასეთი მონაგრით დაასრულეს ჭიდაობა ალმათიში გამართულ ძიუდოისტთა „დიდ პრიზზე“ ქართველმა ფალავნებმა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ლაშა შავდათუაშვილი (73) და ადამ ოქრუაშვილი (+100), ხოლო ნუგზარ ტატალაშვილი (73) და ლევან მატიაშვილი (+100) მესამე ადგილებს დასჯერდნენ. ჩვენებმა გაიმარჯვეს გუნდურ ჩათვლაშიც ვაჟთა შორის, საერთოში კი მეორეზე გავიდნენ, მხოლოდ ფრანგებს ჩამორჩნენ.**

ქართველმა ძიუდოისტებმა მედლები მხოლოდ ორ წონაში მოიპოვეს. ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან მხოლოდ აქ გვყავდა ლიდერები. თანაც სწორედ ამ ორ წონაშია გადასაჭრელი შიდა კონკურენცია – ვინ წავა რიოს თამაშებზე.

მართალია, მსოფლიო რეიტინგში ტატალაშვილი (მესამეა) შავდათუაშვილს (მე-5) უსწრებს, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზედიზედ მეორე ტურნირში აჯობა შედეგით უშუალო კონკურენტს.

ალმათიში ლაშამ თავისუფლად მოუგო ბერძენ გეორგიოს აზოიდისს, ჩინელ შუაი სუნსა და უზბეკ გიოსჯონ ბობოევს, ნახევარფინალში მონღოლთა ოლიმპიურ და მსოფლიო პრიზიორ ნიამ-ოშირ საინჯარგალს გაფრთხილებებით სძლია, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი ჩეხ იარომირ იეზეკს მტკივნეული ილეთით აჯობა. ამ უკანასკნელმა ნახევარფინალში ტატალაშვილი შებოჭა, რომელმაც მანამდე უკრაინელი სერგეი დრებოტა, მასპინძელი დიდარ ხამზა და ესპანელი კიოში უემაცუ ჩამოიშორა გზიდან. „ბრინჯაოსთვის“ პაექრობაში ტატალაშვილმა ფრანგი ევროპის პრიზიორი პიერ დუპრა დატოვა უმედლოდ.

მძიმე წონაში ჩვენები - ადამ ოქრუაშვილი და ლევან მატიაშვილი ერთმანეთს ნახევარფინალში შეხვდნენ და მატიაშვილი გაფრთხილებებით მოხსნეს. ლევანმა დამამშვიდებლის ფინალში ტუნისელი მსოფლიოს პრიზიორი ფაიცელ ჯაბალა დაჯაბნა. ოქრუაშვილმა პირველ წრეში ყაზახ რუსლან აბდრაზაკოვს მოუგო, მერე უზბეკთა მსოფლიოს და ოლიმპიადის მედალოსანი აბდულო ტანგრიევი არ გამოუცხადდა, ფინალში აზერბაიჯანის სახელით მოჭიდავე უშანგი კოკაური დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა.

**ვაჟა ნოსირელი**

ჩოგბურთი

# მთავარი პრიზიც, 100 სარეიტინგო ქულაც



**თბილისელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა გერმანულ ჰაილბრონში გამართულ ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 64.000 ევრო) ზედიზედ ჩამოიშორა გზიდან ესპანელი დანიელ მუნიოს დე ლა ნავა (6:4, 6:1), ბლაჟ როლა (სლოვენია, 6:7, 6:3, 7:6), იგორ სიუსლინგი (ჰოლანდია, 6:2, 3:6, 7:6), იოჟეფ კოვალიკი (პოლონეთი, 1:6, 6:4, 6:3), გერმანელი იან-ლეონარდ შტრუფი (6:4, 7:6) და მთავარ პრიზთან ერთად 100 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა.**

**გივი გაგუა**

მხატვრული ტანვარჯიში

# სალომე კვარცხლბეკს გაუშინაურდა

**რიოს ოლიმპიადის ლიცენზიატი, ქართველი მხატვრული ტანმოვარჯიშე სალომე ფაჟავა წარმატებით განაგრძობს ასპარეზობას საერთაშორისო სარბიელზე. გასულ უქმეებზე მან ბუქარესტის გრან პრიზე ერთი პირველი და ორი მეორე ადგილი დაიკავა.**

ფაჟავამ მრავალჭიდში 72.850 ქულა მოაგროვა და მე-4 ადგილს დასჯერდა – ბრინჯაოს პრიზიორ დინა ავერინას (რუსეთი) 0.250 ქულით ჩამორჩა. პირველი-მეორე ადგილები მელიტინა სტანიუტამ (ბელარუსი, 74.150) და არინა ავერინამ (რუსეთი, 73.600) გაიყვეს. სამაგიეროდ, სალომემ გურზებით შეჯიბრებაში იყოჩაღა – 19 ქულით ოქროს მედალი დაიმსახურა. მეორე-მესამე ადგილებზე რუსი დები – დინა (18.750) და არინა (18.550) ავერინები გავიდნენ.

რგოლით ვარჯიშში 18.500-მა ქულამ ფაჟავას ვერცხლის მედალი მოუტანა. ბელარუსმა სტანიუტამ ჩვენებურს 0.5 ქულით აჯობა. სალომეს მეორე „ვერცხლი“ 18.700 ქულით ლენტით ვარჯიშში ერგო. პირველი (18.800) აქაც სტანიუტა იყო.

**თამაზ პატარიძე**



**სურათზე:** მარცხნიდან – დინა ავერინა, სალომე ფაჟავა, არინა ავერინა.

რაგბი

# „ლელოს“ მეოთხე სიმაღლე

**„ლელო“ – „ლოკომოტივი“ 17:15**

**„ლელო“:** ყიასაშვილი, ჩიტიძე, თოდუა, ტალახაძე, ხეცოიძე, ხმალაძე, მინდიაშვილი. მაჭარაშვილი (მარგალიტაძე, 67), ჭყოიძე, პატარაია (მჭედლიძე, 78), ჭეიშვილი (მაისურაძე, 58), ქოიავა, კოპაძე (ხორბალაძე, 59), სურგულაძე, ბუბუტეიშვილი (კვაჭაძე, 60).

**„ლოკომოტივი“:** ნიკოლავა, კალანდაძე, ძნელაძე, კავთიძე, შკინინი, წიკლაური, ხუციშვილი. ქვათაძე, გენებაშვილი (ელოშვილი, 48), ბურდული, გეგია, მახარაძე (მიქაძე, 64), ფოფხაძე (ტურაშვილი, 65), ბერიშვილი, გასვიანი.



წლეულს საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის რეგულარული გათამაშება „ლელომ“ დამაჯერებლად მოიგო. მერე რკინიგზელებს შესარჩევ ფინალში აჯობა, ბოლოს კი დიდ ფინალშიც სძლია და ქვეყნის ჩემპიონობა ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა.

შეხვედრის მე-4 წუთზე ანგარიში ლელოელმა ელგუჯა სურგულაძემ გახსნა. მერე 20 წუთის განმავლობაში უპირატესობას „ლოკომოტივი“ ფლობდა. 24-ე წუთზე რკინიგზელები წინ გავიდნენ – 7:5. პირველი ტაიმიც ასე დასრულდა. შესვენების შემდეგ ისევ „ლელო“ გააქტიურდა და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც – 17:15.

**ლაშა დიდია**

ფარიკაობა

# ბაზაძე ავტორიტეტებს არ უფრთხის

**ესპანეთის დედაქალაქში უძლიერეს მოხმალავეთა პირად-გუნდური მსოფლიოს თასი გათამაშდა, რომელშიც საქართველოდან ახალგაზრდებში ევროპის სამგზის ჩემპიონი, რიოს თამაშების ლიცენზიატი სანდრო ბაზაძე, მისი ძმა ბექა ბაზაძე და მიხეილ მარდალეიშვილი მონაწილეობდნენ.**



სანდრომ ჯგუფში ზედიზედ დაამარცხა გაბრიელ არმიჯო (აშშ, 5:3), ინაკი ბრავო (ესპანეთი, 5:2), შოიჩი მორი (იაპონია, 5:1), მასიმილიანო მურილო (იტალია, 5:1), მატეუშ გოდლევსკი (პოლონეთი, 5:3), რუვენ რედვანსი (გერმანია, 5:0) და პლეიოფშიც გავიდა, სადაც პირველ წრეში მსოფლიოს პრიზიორი მუჰამერ ამერი (ეგვიპტე, 15:12) დაჯაბნა, მერე 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონ ფრანჩესკო ბონსანტოს (იტალია, 15:8) დააყრევინა ფარ-ხმალი, მერვედფინალში ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონატების თითო ოქრო-ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მფლობელი, ევროპის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი ტიბერიუ დოლნიჩეანუ (რუმინეთი, 15:12) ჩამოიშორა გზიდან, იგივე ბედი ეწია პირად პირველობაში ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანს, გუნდურში ორგზის ოლიმპიურ ბრინჯაოს პრიზიორს, მსოფლიოს ჩემპიონატების თითო ოქრო-ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მფლობელს, ევროპის ორგზის ჩემპიონ დიეგო ოჩიუზის (იტალია, 15:7), ნახევარფინალში 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის მეორე პრიზიორი ლუკა კურატოლი (იტალია, 15:14) დაამარცხა დაძაბულ ორთაბრძოლაში, გადამწყვეტი პაექრობა კი 2008 წლის ოლიმპიურ ჩემპიონთან, მსოფლიოს ჩემპიონატების სამივე სინჯის მედლის კავალერ ვინსენტ ანსტეტთან (საფრანგეთი, 9:15) დათმო და მეორე ადგილზე გავიდა.

მადრიდში მიხეილ მარდალეიშვილმა ხუთი ორთაბრძოლა მოიგო, ბექა ბაზაძემ ორ მეტოქეს აჯობა. საბოლოოდ ისინი, შესაბამისად, 74-ე და 120-ე ადგილებზე გავიდნენ. სამივე ჩვენებური გუნდურშიც იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. პირველ წრეში მათ ყაზახეთის გუნდს მოუგეს - 45:30, მეორეში კი გერმანიასთან დამარცხდნენ – 35:45 (ალემანებმა მთავარი პრიზი მოიპოვეს). დამამშვიდებელში ბელარუსები (45:35 და ეგვიპტელები (45:33) ჩამოიშორეს გზიდან, ირანელებთან კი ვერაფერს გახდნენ (28:45) და 22 ნაკრებს შორის მე-10 ადგილზე გავიდნენ.

**ლექსო ცინცაძე**

კალათბურთი

# რუსულმა არმიამ ბერლინი აიღო

**ბერძენი სპეციალისტის დიმიტრის იტუდისის გაწვრთნილი ცსკა-ს ტრიუმფით დასრულდა გერმანიის დედაქალაქში გამართული საკალათბურთო ევროლიგის ოთხთა ფინალი. ეს არმიელთა მეშვიდე გამარჯვებაა ყველაზე პოპულარულ საკლუბო ტურნირში – ამ მაჩვენებლით მათ მხოლოდ მადრიდის „რეალი“ (11) უსწრებს.**



**ნახევარფინალი.** ცსკა – „ლოკომოტივ-ყუბანი“ 88:81, „ფენერბახჩე“ – „ლაბორალ კუჩა“ 88:77 (დამატებით დროში).

**მატჩი III ადგილისათვის:** „ლოკომოტივ-ყუბანი“ – „ლაბორალ კუჩა“ 85:75.

**ფინალი.** ცსკა – „ფენერბახჩე“ 101:96 (დამატებით დროში).

**ყველაზე შედეგიანები:** დე კოლო (22 ქულა), თეოდოშიჩი (19 ქულა) – ცსკა, დიქსონი (15 ქულა) – „ფენერბახჩე“.

შესვენების დროს ძნელი სავარაუდო იყო, რომ შემდგომში მოვლენები ასე დრამატულად განვითარდებოდა, რადგან პირველ ტაიმში მოსკოველებმა 20 (!)-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს – 50:30. არადა, თურმე უნდა გვეფიქრა – თურქებმა ხომ ნახევარფინალშიც თითქმის უიმედო ბრძოლა გადაარჩინეს ბასკებთან.

შეგახსენებთ, რომ 2014 წლის ევროლიგის ფინალი რუსულმა გრანდმა ვიქტორ ხრიაპას ბავშვური შეცდომით დათმო „მაკაბისთან“. ალბათ, სიმბოლურია, რომ ამჯერად ძირითადი დროის ამოწურვამდე 2 წამით ადრე პარტნიორები სწორედ გუნდის კაპიტანმა იხსნა, რომელიც ფარიდან ასხლეტილ ბურთს დაეუფლა და საჯარიმოს ხაზიდან მოათავსა მეტოქის კალათში, რითაც თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა – 83:83.

დავძენთ, რომ ოსმალოთა სახელოვან თავკაც ჟელკო ობრადოვიჩს აქამდე კარიერაში ყველა ფინალი (8) მოგებული ჰქონდა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

# რატომ არ დადიან ბელორუსი ტურისტები ბათუმში?



**„ისე ჩანდა, რომ 2016 წლის ზაფხულისათვის საქართველოს მთავარი შავიზღვისპირა კურორტი — ბათუმი ბელორუსებისათვის მიმზიდველი იქნებოდა: კულუარებში იმაზეც კი საუბრობდნენ, რომ ბრესტის აეროპორტიდან ჩარტერული ავიარეისების შესრულება იქნება საჭიროო, მაგრამ სიტუაცია ისეთი არ აღმოჩნდა, როგორსაც წინასწარმეტყველებდნენ. რატომ არ მიდიან აჭარაში სამოგზაუროდ ბრესტელი და მინსკელი ტურისტები?“, — ასეთი შეკითხვაა დასმული გაზეთ „ვეჩერნიი ბრესტის“ საკვირაო გამოშვებაში გამოქვეყნებულ სტატიაში (ავტორი — ტატიანა შელამოვა).**

„ბრესტზე იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ ჩვენმა ქალაქმა გასული წლის შემოდგომაზე პარტნიორობის შეთანხმება გააფორმა, აჭარაში ჩვენგან მთელი დელეგაცია გაემგზავრა — 12 მსხვილი ტურისტული კომპანიის წარმომადგენლის შემადგენლობით, რომელსაც საქალაქო აღმასკომის სპორტისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი ხელმძღვანელობდა.

დელეგაცია წავიდა და დაბრუნდა, მაგრამ ბათუმში წამსვლელთა რაოდენობა მაინც არ გაზრდილა: იგივე ტურფირმების საიტებზე აჭარაში დასვენების მსურველები ვერ ვიპოვეთ. გამოდის, რომ არავის არ აუღია ჩარტერული ავიარეისების ორგანიზება საკუთარ თავზე — არათუ ბრესტიდან, არამედ მინსკიდანაც კი. როგორც დედაქალაქის პრესა წერდა, მინსკში ბოლო ხანს ჩატარებულ „ბათუმის დღეებში“ უფრო მეტად ჟურნალისტები მონაწილეობდნენ, ვიდრე ტურკომპანიებიო — მათგან ღონისძიებაზე სულ ექვსი წარმომადგენელი მივიდა.

რატომ არ დაინტერესდნენ ჩვენი ტურისტული ფირმები საქართველოთი? კაცმა რომ თქვას, ზოგადად, ბათუმში ერთკვირიანი დასვენება მაინცდამაინც ძვირი არ ღირს, სულ რაღაც 466 დოლარი (მგზავრობის გარდა). მაგრამ, როგორც ჩანს, აქ საქმე სულ სხვა მიზეზთან გვაქვს...

აქტიურად ლაპარაკობენ იმაზე, რომ ავიაკომპანია „ბელავიას“, რომელიც ავიამგზავრთა გადაყვანის მონოპოლისტია, არ სურს საქართველოს ქალაქებში და კერძოდ, ბათუმში ჩარტერული რეისების განხორციელება, ეკონომიკური მოსაზრების გამო: ერთი მხრივ, მას ბილეთზე მაღალი ფასის შენარჩუნება სურს, მეორე მხრივ კი უცხოელ კონკურენტებს არ უშვებს, რომ როგორმე მგზავრობა გაიაფდეს. აქედან გამომდინარე, ავიაბილეთების მაღალი ფასი მასობრივ ტურისტულ ნაკადს გამორიცხავს“, — ნათქვამია სტატიაში.

თუმცა მინსკის ზოგიერთი ტურკომპანიის ხელმძღვანელი ამ მიზეზებს არ ეთანხმება: „საქმე მთლად ასე არ არის, — ამბობს კომპანია „თაიმ ვოიაჟ“-ის დირექტორი რუსლან სეგენიუკი, — ჩემი აზრით, პირველი მიზეზი უფრო ისაა, რომ საქართველოს ტურისტული დესტინაცია (ანუ პოპულარული ტურისტული ობიექტი) მხოლოდ ბოლო 5-6 წლის მანძილზე ვითარდება. საქართველოში პლაჟების რაოდენობა ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე, ვთქვათ, ბულგარეთში და კიდევ უფრო ნაკლები, ვიდრე თურქეთში. საქართველოს (შავიზღვისპირეთში) ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება ტერიტორიულადაც კი შეზღუდულია. კიდევ ერთი მომენტი: საქართველოში რამდენიმე ასეული სასტუმროა, თურქეთსა და ბულგარეთში კი — რამდენიმე ათასი, შესაბამისად, ქართულ სასტუმროებში ფასებიც მაღალია, განსხვავებულია მომსახურების დონეც, ანუ მასობრივი ტურიზმის ქვეყნებში ფასები უფრო დაბალია, ვიდრე სხვაგან“.

როგორც რუსლან სეგენიუკი მიიჩნევს, „ბელავიას“ რეისები ზაფხულში საქართველოს მიმართულებით საკმაოდ დატვირთულია, ანუ, პრინციპში, აქ ავიაკომპანიის რაიმე ბრალი არ ჩანს, ტურფირმებმა უფრო კარგად უნდა იმუშაონ. „ვფიქრობ, საქართველოს კარგი პერსპექტივა აქვს ბელარუსის ტურისტულ ბაზარზე. ქართული მიმართულება სრულიად არაჩვეულებრივი, ახალი მიმართულებაა, აქ ერთმანეთთან ძალიან კარგადაა შეზავებული უნიკალური ქართული სტუმართმოყვარეობა და გულკეთილობა, დიდსულოვნება, განუმეორებელი ბუნება, ეროვნული სამზარეულო, მეღვინეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბელარუსებისათვის უვიზო რეჟიმი მოქმედებს. დიდ როლს ასრულებს მტკიცე ტრადიციაც, რომლებიც ქართველებსა და ბელარუსებს შორის ურთიერთობაში გამოიხატება, რაც მრავალი ათეული წლის მანძილზე ერთ სახელმწიფოში ცხოვრებითაა განპირობებული“.

**„ვეჩერნი ბრესტ“**

## ინფორმაცია საჯარო განხილვების შესახებ

**სხალთა-შუახევის 35 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი**

2016 წლის 18 მაისიდან შპს „ნიუ მეტალ ჯორჯია“, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იწყებს 35 კვ-იანი სხალთა -შუახევის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვას.

პროექტი გულისხმობს სხალთა ჰესის შუახევი ჰესთან დამაკავშირებელი 35კვ.-იანი ეგხ-ს (დაახ. 20 კმ) მშენებლობას.

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება:

ა.წ. 16 ივლისს 13:00 სთ-ზე, სოფ. სხალთას მმართველობის შენობის სააქტო დარბაზში, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: სოფ. სხალთა.

ა.წ. 16 ივლისს 16:00 სთ-ზე დაბა შუახევის მუნიციპალიტეტის შენობის სააქტო დარბაზში, შემდეგ მისამართზე: დაბა შუახევი.

განსახილველი გზშ-ს ანგარიშის წინასწარი ვერსია და შესაბამისი დეტალური ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეთათვის ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

დოკუმენტის ნაბეჭდი ვერსიები

- **გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. №6**
- **შპს „ნიუმეტალ ჯორჯია“ ქ.თბილისი, ჭავჭავაძის 2 .**

**ელექტრონული ვერსიები**

- **დოკუმენტის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია** (nmg.ge)ინტერნეტ გვერდზე
- **შუახევის რაიონის მუნიციპალიტეტი**
- **სხალთის მმართველობის შენობა**

**კომენტარები მიიღება ა**/წ 19 მაისიდან 02 ივლისის ჩათვლით, ელექტრონული ფორმით შემდეგ მისამართებზე: dmb-7@mail.ru, zaza.qoridze@mail.ru

წერილობითი ფორმით მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის №2, ბინა 54 , ფეიქრების №14.

## მკვლელობა ბათუმში

**შსს-ს აჭარის ა/რ-ის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული არჩილ ფ. განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით ბათუმში დააკავეს.**

**გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 14 მაისს, ბათუმში, 6 მაისის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ირაკლი ა.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან მრავალჯერადი გასროლით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ირაკლი ა. საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.**

**მეუღლე იზოლდა ქობულია, შვილი ნინო ცინცაძე, სიძე თემურ გერსამია, შვილიშვილები ქეთი, ლადო გერსამიები, სიძე მამუკა დოლიძე იუწყებიან**

**თამაზ ცინცაძის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18 V, 17 სთ. ნინო რამიშვილის ქ. №4. გამოსვენება 19 V, 15 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.**

**რეზო ამაშუკელი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა**

**თამაზ ცინცაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**მანანა, დემურ მიქაძეები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, ბატონი**

**თამაზ ცინცაძე**

**და თანაგრძნობას უცხადებენ მის მეუღლეს, ქალბატონ იზოლდას და ოჯახის წევრებს.**

**რევაზ, ზაზა, ნიკო თევზაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, ბატონი**

**თამაზ ცინცაძე**

**და თანაგრძნობას უცხადებენ მის მეუღლეს, ქალბატონ იზოლდას და ოჯახის წევრებს.**



**პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე საზოგადოების ერთ-ერთი თავკაცი, საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენელი, ქართული ნავთობისა და გაზის საბადოების გეოლოგიური ძიების მეცნიერული კვლევების ვეტერანი, მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის შესანიშნავი ხელმძღვანელი, ქართული ესტრადის ბრწყინვალე ვარსკვლავი, ზებუნებრივი ადამიანური თვისებების მქონე, ღვთისნიერი პიროვნება**

**თამაზ ცინცაძე**

**და თანაგრძნობას უცხადებენ მის მეუღლეს, ქალბატონ იზოლდას და ოჯახის წევრებს.**

**ნოდარ ემუხვარი მწუხარებით თანაუგრძნობს ნუგზარ ფიფიას მეუღლის, შესანიშნავი პიროვნებისა და ექიმის**

**მანანა გაბუნიას**

**გარდაცვალების გამო.**



**სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კვლევის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ღვაწლმოსილი თანამშრომლის, ქალბატონ**

**ლიანა ჩიტაძის**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**ზურაბ სოტკილავა, დილარ ივარდავა ოჯახებით ენით გამოუთქმელ მწუხარებას გამოხატავენ ძმის სადარი ბიძაშვილის**

**თენგიზ შოთას ძე სოტკილავას**

**გარდაცვალების გამო.**

**ლუარა სოტკილავა, ოთარ ჭითანავა სამძიმარს უცხადებენ ლია ხარჩილავასა და მანანა სოტკილავას მეუღლისა და ძმის**

**თენგიზ სოტკილავას**

**გარდაცვალების გამო.**

## დააკავეს ქურდული სამყაროს შეიარაღებული წევრები



**შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული ლაშა დ. და 1992 წელს დაბადებული დავით ლ. ქურდული სამყაროს წევრობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.**

**სამართალდამცველებმა ბრალდებულები იმ დროს დააკავეს, როდესაც ისინი ღამით, ოზურგეთის რაიონის სოფელ ნატანებში, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულები ფეხით გადაადგილდებოდნენ. პოლიციამ, ლაშა დ.-ს პირადი ჩხრეკისას, გადაჭრილი სანადირო ორლულიანი თოფი, ე.წ. „აბრეზი“ 2 ვაზნით, ხოლო დავით ლ-ს პირადი ჩხრეკისას - გადაჭრილი სანადირო ერთლულიანი თოფი, ე.წ. „აბრეზი“ 1 ვაზნით ნივთმტკიცებად ამოიღო.**

## თუ პირის გემოს არ უჩივით...



**გასტრონომიული ტურიზმისთვის მსოფლიოს საუკეთესო ქალაქი ტოკიო ყოფილა.**

ავტორიტეტული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ აქ ყველაზე მეტი ეგრეთ წოდებული „მიშლენის ვარსკვლავის“ მქონე რესტორანია, რომელიც საქვეყნო აღიარების უტყუარი ნიშანია, თავისებური „კულინარიული ოსკარია“. ამის გარდა, ტოკიოში მრავლადაა სხვადასხვა ფინანსური შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი კვების ობიექტი. მეორე ადგილზე გავიდა ვიეტნამის დედაქალაქი ჰანოი, მესამეზე – დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი ლონდონი, თანაც ამ უკანასკნელში ყველაზე სრულადაა წარმოდგენილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული სამზარეულოების ბარები და რესტორნები.

## შეყვარებული მამაკაცის ათი სიტყვა

**მეცნიერებმა ალერსიან სიტყვათა ოდენობა დათვალეს, რომლებსაც საშუალო-სტატისტიკური მამაკაცი საყვარელი ქალისადმი მიმართვისას იყენებს.**



18-და 47 წლის ასაკამდე ხუთი ათასი მამაკაცის ანკეტური გამოკითხვისას, გაირკვა, რომ თავიანთ გრძნობებს ისინი სულ ათიოდე სიტყვის წარმოთქმით გამოხატავენ!

ძლიერი სქესის წარმომადგენლების ყველაზე საყვარელი სიტყვებია ზედსართავი და შემცირებულ-მოფერებითი სიტყვები, რაც სავსებით გასაგებია. მათ შორის ყველაზე პოპულარულია „ჩემო კარგო“, „ძვირფასო“, „ულამაზესო“, „სექსი“. არსებით სახელებს მამაკაცები შემდეგს იყენებენ: „ფისო“, „ბაჭია“, „ჩიტუნია“, „ზაზუნა“. ინტენსიურ ხმარებაშია ასევე ამ სიტყვების წარმოებულები, თანაც შეყვარებული მამაკაცის ენას ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

## ნაგვის სურათები

**ფსევდონიმ ბორდალო II-ის სახელით ცნობილი პორტუგალიელი მხატვარი, ქალაქების ქუჩებში ნაპოვნი ნაგვისგან და სხვადასხვა გადაგდებული საგნის მხატვრულ ტილოებს ქმნის.**

თავისი მოღვაწეობა მან მშობლიურ ლისაბონში დაიწყო – მანქანის ძველი საბურავების, მათი ძველი ძარების, არმატურის ნაჭრების, კრამიტის, მავთულების ნაგლეჯებისა და მსგავსი ატრიბუტების გამოყენებით. არტურო ნადირების, ფრინველებისა და მწერების თვალწარმტაც სურათებს ქმნის, რომლებითაც ქალაქს ამშვენებს.




„ნაგავი ქალაქის ქუჩებში – ეს ის ბოროტებაა, რომელსაც ყველანი შერიგებულნი ვართ, რის გაკეთება არაფრით არ შეიძლება, – ამბობს არტურო ბორდალო. – მრავალ მასალას ხელმეორედ არ იყენებენ, აღარ ამუშავებენ, ამიტომაც არსებობას სანაგვეზე ასრულებს. ჩემი სურათები კი, არსებითად, მეტაფორებია, რომლებიც არა მარტო ნაგვის გადამუშავებას მოგვიწოდებენ, არამედ იმ საზოგადოებასაც აკრიტიკებენ, რომელშიც ვცხოვრობთ“.

ამჟამად, ბორდალო II-ის ნამუშევრებს მსოფლიოს ბევრ ქალაქში, მათ შორის აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოშიც ნახავთ.

**რეკლამა** მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
**293-37-87, 599 79-76-79**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

## ევა ბარბაქაძეს მერია ეხმარება

**„თბილისის მერიისგან ევა ბარბაქაძის ოპერაციისთვის თურქეთის კლინიკაში გადაირიცხება 15 ათასი ლარი!“, – ამის შესახებ ინფორმაციას „რუსთავი-2“-ის საერთაშორისო პროექტების პროდიუსერი, სალომე ლილუაშვილი სოციალურ ქსელში ავრცელებს.**

**„მოკლედ, უახლესი ამბავი, წუთის წინ დამირეკეს: თბილისის მერიისგან ევა ბარბაქაძის ოპერაციისთვის თურქეთის კლინიკაში გადაირიცხება 15 ათასი ლარი!**



**აქვე გეტყვით – მიუხედავად იმისა, რომ პირველმა ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, ევას ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩება. დღეს უტარდება მეორე, ასევე რთული და გადაუდებელი ოპერაცია ფეხზე. ძალიან გთხოვთ, ნუ შევწყვეტთ შეძლებისდაგვარად თანხების გადარიცხვას. ჯერ კიდევ არ შეგროვებულა საკმარისი თანხა ევას ოპერაციებისთვის. მიუხედავად ამისა, მადლობა ყოველ თქვენგანს შორენას ანგარიშზე დარიცხული ნებისმიერი ოდენობის თანხის გამო“, – წერს სალომე ლილუაშვილი.**

**კაკალ გულში**

## ეს ჯადოქარი ჯაჯანიძე

**● ბიძინამ რომ ნაცები გადარგო, ყველამ იხარა, შაბათს ვიხილე ოცნების ბაღში,მსხმოიარე, კარგად დამწიფებული!!!**

**● ყველას! ყველას! ყველას!**

**ვინც არც ერთი პარტიის წევრი არ ვართ, გავწევრიანდეთ პარტიებში, გავხდეთ უმრავლესობები, მოვიწვიოთ რიგგარეშე ყრილობები, გადავაყენოთ პარტიის ხელმძღვანელობა, გავერთიანდეთ, შევიდეთ პარლამენტში და მერე ჩვენ დავიწყოთ უსაქმურობა!!! ისინი დაჯდნენ კომპიუტერებთან და პოსტონ რამდენიც უნდათ.**

**● ეს ჯადოქარი ჯაჯანიძე წაიყვანა უკვე ამ ცელიანმა მიქელ გაბრიელმა, თუ ჯერ დრო გაყავს და ალაპარაკებს?**

**● „კაცს“ რო 9 წელია, ხმა არ ამოგიღია ძალადობაზე, წამებაზე, გაუპატიურებაზე, ტერიტორიების დაკარგვაზე, ტერორზე, დღეს რაის ხმის მოცემას მთხოვ, შენი ლასკალა დედა ვატირე.**

**● დაიწყო პილიგრიმმა ბაქრაძემ საქართველოს მოლოცვა. გზაში არ დაიღალოს – ფლეშკით ატარეთ.**

**● პარტია „ადანდალი-დანდალი“ იწვევს აქტივისტებად ტაშის დამკვრელებს, ტრიბუნის გადამტანთ, შუბლზე ოფლის მომწმენდთ, აღფრთოვანებული შეძახილების ავტორებსა და ბანის მიმცემებს...**

**● ვახტანგ გომელაურის ადგილზე რომ ვიყო, მოვბრუნდებოდი და წამოვიდოდი.**

**ამათ (პარლამენტარებს) ტრაკანის მეტი საქმე მაინც არაფერი აქვთ, მიწვეულ კაცს კი, თითქმის ოთხი საათია, ალოდინებენ. იბიარდ!**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

**ცინცხალი ანეკდოტები**

**დიალოგი** სუპერმარკეტში:

– უკაცრავად, თქვენს სავაჭრო ცენტრში 6 წლის ბიჭუნა დამეკარგა, შეიძლება რადიოქსელით მივმართო?

– რა თქმა უნდა, მობრძანდით, ბატონო!

მამა მიკროფონთან მიდის და გახარებული ყვირის:

– მშვიდობით, პატარა ვირიშვილო!..

* * *

**ბავშვობაში** სულ მიკვირდა: მაინც როგორ და რატომ დაფრინავენ თვითმფრინავები? გავიზარდე და საავიაციო ინჟინერი გავხდი, ახლა უკვე ვიცი, როგორაა ყველაფერი მოწყობილი და აღარ მიკვირს, თვითმფრინავები რომ დაფრინავენ. მხოლოდ ის მიკვირს, რატომ არ ვარდებიან.

* * *

**სამი** საათის ფიქრის შემდეგ, რით დამეწყო უფროსის ახალი რთული და პასუხსაგები დავალების შესრულება, როგორც იქნა მივხვდი, რომ ჯერ ლუდი უნდა დამელია.

* * *

– **ნუ** გერიდებათ, უფროსობაზე ცუდად იფიქროთ. ისინი თქვენზე საერთოდ არ ფიქრობენ!

* * *

**იქ**, სადაც კრიზისების დროს მმართველები ქვეყანას საუცხოოდ უძღვებიან, კრიზისები მუდმივი ხასიათისაა.

* * *

**ჩვენი** ბებია-ბაბუები იმისთვის იბრძოდნენ, რომ მათ შვილებს უკეთ ეცხოვრათ. ჩვენც იმისთვის ვიბრძვით და, თუ ყველაფერი ასე გაგრძელდება, ჩვენი შვილებიც და შვილიშვილებიც ისევე როგორც მათი შვილები და შვილიშვილები ამავე მიზნის მოსაპოვებლად იბრძოლებენ.



## გამოიწერეთ:

**6 თვით – 60 ლარი,**
**1 წლით – 120 ლარი.**

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.212; ევრო - 2.521;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.191;
100 რუბლი - 3.349; თურქული ლირა - 0.745;
აზერბაიჯანული მანათი - 1.471;
1000 სომხური დრამი - 5.615

**ამინდი 17 მაისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +10, | დღე +29 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +7, | დღე +26 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +12, | დღე +26 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +8, | დღე +25 |
| თბილისი: | ღამე +14, | დღე +27 |

**ჩვენი მისამართია:**
თბილისი, მაჩაბლის ქ. №7
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE